ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba



## ზღულაძე გადადგება თუ დარჩება?

გვ.2

21 აპრილიდან

**ქარი** კენეთ გრემი **ტირიფებში**

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი



ხუთშაბათი, 21 აპრილი, 2016 №94 (7020) ფასი: 50 თეთრი

# თოფაძე ინაშვილთან მიდის, კალაძე — სამტრედიაში





გვ.2

## ზაქარია ქუცნაშვილი: „ბიჭები არ გვინდა პოლიტიკაში“

გვ.2





## „ივანიშვილმა ისეთი ხალხი შემოიკრიბა, მოიშორებენ და მთელ ქონებასაც დააკარგვინებენ“

გიგლა ბარამიძე: „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობა არ გვაწყობს“

გვ.3



## სანდრო ბრეგაძე: „ჩვენ პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით გამოვალთ“

გვ.4





## ზაზა მიქაძე: „ფრანგიშვილი უნდა გადადგეს“

„წიგნები, რომლებითაც ტექნიკურ უნივერსიტეტში ასწავლიან, მეორე მსოფლიო ომის დროს არის გამოცემული“

გვ.5

## კასრში მამაკაცის ცხედარი იპოვეს

გვ.3



2014 წელს მომხდარი დედა-შვილის მკვლელობა გახსნილია

ISSN 1987-9385



## ავთანდილ უნგიაძე: „რა უფლება აქვს სახალხო დამცველს, რომ ეკლესიებში ექსკურსიებს ეწინააღმდეგება?“

გვ.5



# ზაქარია ქუცნაშვილი: „გიჟები არ გვინდა პოლიტიკაში“

შორენა მარსაგიშვილი

ხელისუფლება მზადაა, 2%-იანი ბარიერის გადალახვის შემთხვევაში პარტიებს კვალიფიციურის სტატუსი მიანიჭოს და დააფინანსოს. თავიდან ოპოზიციური პარტიები ამ იდეას კარგად შეხვდნენ, შემდეგ კი განაცხადეს, რომ მათთვის მთავარი საარჩევნო გარემოს შეცვლაა. ამის გამო ხელისუფლების წარმომადგენლებმა ისინი უმადურობაში დაადანაშაულეს.

ოპოზიციის უმადურობის მიუხედავად, ხელისუფლება მაინც მზადაა, ამაზე წავიდეს. „ქართულ ოცნებაში“ არიან ისეთებიც, რომლებისთვისაც ეს საკითხი მიუღებელია. ერთ-ერთ მათგანი ზაქარია ქუცნაშვილია.

ზაქარია ქუცნაშვილი არა თუ 2, არამედ 3%-იან ბარიერსაც ეწინააღმდეგება.

– გიჟები არ გვინდა პოლიტიკაში, გვყავს საკმარისზე მეტი, უნდა გავცხრილოთ პოლიტიკა გიჟებისა და ავანტიურისტებისგან. საზოგადოებამ უნდა გაცხრილოს სამართლიანობის ძალით. 3% ნიშნავს იმას, რომ შეაგროვო 60.000 ხმა, თუ შენ 60.000 ხმა შეაგროვე, ის უკვე იმას ნიშნავს, რომ ერთ პროცენტზე სამჯერ მეტი ამომრჩეველი გიჭერს მხარს. აქედან გამომდინარე კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს სტატუსი წარმოგეშვება, – განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.



მისგან განსხვავებული პოზიცია აქვს ამ საკითხზე უმრავლესობის მეორე ლიდერს გიგა ბუკიას.

– 2% არის საშუალოდ 35.000 ამომრჩეველი, ჩვენ ვითვალისწინებთ ამ ამომრჩეველთა და არა პარტიების ნებას. პარტიების განვითარებას რომ შეეწყოს ხელი, ამიტომ მივიღეთ ეს გადაწყვეტილება. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ 35.000 ამომრჩეველი საშუალოდ, ეს არის ის რაოდენობა, რომელთა აზრიც უნდა იყოს მაინც გათვალისწინებული, – აცხადებს გიგა ბუკია.

მისი თქმით, არასაპარლამენტო ოპოზიციურმა პარტიებმა მოლაპარაკებების პროცესში თავად დააყენეს ერთ-ერთ პუნქტად 2%-იანი ბარიერის გადალახვის შემთხვევაში დაფინანსების საკითხი.

გიგა ბუკია ამბობს, რომ მმართველმა გუნდმა იმსჯელა ამ პუნქტებზე და რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით მზადყოფნა გამოთქვა, კონკრეტული ნაბიჯები გადაედგა.

– სამწუხაროდ, 19 აპრილს განცხადებები რომ მოვისმინეთ, ისეთი იყო, თითქოს მათთვის ეს საკითხი საერთოდ არ იყო მნიშვნელოვანი და არ აწუხებდათ. შესაბამისად, მე გამიჩნდა კითხვა, თუ მათ ეს არ აწუხებდათ, მაშინ ამ წინადადებებით რატომ შემოვიდნენ და ან ჩვენ დროს ან საკუთარ დროს რატომ არ გაუფრთხილდნენ.

მაშინ არც ჩვენ ვაპირებთ ამ პირობების თავგადაკლულ ლობირებას, უბრალოდ მათი წინადადების 70-80% გავითვალისწინეთ და აღმოჩნდა, რომ მათთვის ეს მნიშვნელოვანი არ ყოფილა, – აღნიშნა გიგა ბუკიამ.

მისივე თქმით, სწორედ ამიტომ უმადურობის ხელმომწერი არ იქნება.

– არ შეიძლება, რაღაცისთვის გამოიყენო ჩვენი რეალური მიდგომა. ჩვენ კონსტრუქციული თანამშრომლობა გვინდა ყველასთან, მათ შორის პატარა პარტიებთანაც. თუ ისინი აპირებენ, ამ ფორმატით მიღებული ქულები გამოიყენონ, ამ თამაშში ჩვენ ვერ ავყვებით, – განაცხადა დეპუტატმა.

◆ ◆ ◆

ინტერპარტიული ჯგუფი საქართველოს მთავრობას საარჩევნო გარემოს შეცვლისთვის 5-პუნქტიან გეგმას სთავაზობს:

1. საარჩევნო სისტემის შეცვლა; 2. საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი; 3. ბარიერები, როგორც პროპორციული არჩევნებისთვის, პარლამენტში შესასვლელად, ისე კვალიფიციური სუბიექტის სტატუსის მისაღებად; 4. წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის, უფასო სარეკლამო საეთერო დროის განაწილების წესი; 5. ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შემცირების მექანიზმები.

◆ ◆ ◆

მთავრობის შეთავაზებას ვიცე-პრემიერი კახა კალაძეც გამოეხმაურა.

მისი თქმით. ისინი ხელს უწყობენ მცირე პარტიებს.

– ჩვენ გვახსოვს, წლების განმავლობაში რა დამოკიდებულება იყო პარტიების მიმართ. ჩვენ გვაქვს აბსოლუტურად განსხვავებული მიდგომები. დაახლოებით 5-პუნქტიანი მოთხოვნა იყო ამ პარტიების მხრიდან და ოთხი მოთხოვნა მათ მიერ წარმოდგენილი დაკმაყოფილებულია, – განაცხადა კახა კალაძემ.

# თოფაძე ინაშვილთან მიდის, კალაძე — სამტრედიაში

შორენა მარსაგიშვილი

მას შემდეგ, რაც გადაწყდა, რომ კოალიციაში შემავალი პარტიები კენჭს ცალ-ცალკე იყრიან, ერი მრეწველების ბედით დაინტერესდა. ყველას იმის გარკვევა აინტერესებს, რომელ პარტიასთან შექმნიან ისინი კოალიციას.

მმართველი კოალიციის შეზანზარებამდე ცოტა ხნით ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ისინი ჩერნოვეცკისთან მიდიოდნენ. ამ ინფორმაციას არც მრეწველები უარყოფდნენ. იმ პერიოდში, როგორც ამბობენ, თოფაძეს და მის პოლიტიკურ საძმოს ივანიშვილთან საქმე გაფუჭებული ჰქონდათ. ერთხელ ივანიშვილმა მრეწველთა ლიდერზე ისიც კი თქვა, კაცი ასაკშიაო.

ამ ასაკოვანმა კაცმა ცოტა ხანში ისეთი ამბები დაატრიალა, რესპუბლიკელები კოალიციიდან ჩააცურა. ბოროტი ხმები დღემდე ამბობენ, ასე პირველი მრეწველი პირველი მოქალაქის დავალებით მოიქცაო.

ცოტა ხნის წინ ისიც ითქვა, რომ ამ პარტიის რამდენიმე წევრს, მაგალითად, ზურაბ ტყემალაძის ვაჟს, პარტია „ქართული ოცნება“ თავის სიაში ჩასვამსო.





ბოროტი ხმები თოფაძის და პატრიოტთა ალიანსზეც ალაპარაკდნენ. ორივე მხარეს ისეთი ალერგია სჭირს ნატოზე, უცნაური ისაა, აქამდე როგორ ვერ იპოვეს ერთმანეთი.

გუშინ, 20 აპრილს, ამ თემაზე თვით თოფაძეც ალაპარაკდა. მან საპარლამენტო არჩევნებზე პატრიოტთა ალიანსთან გაერთიანება არ გამორიცხა.

დეპუტატის თქმით, ამ ეტაპზე პარტია არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობას გეგმავს, თუმცა მრეწველები ალიანსს არ გამორიცხავენ.

– დღესდღეობით ვცდილობთ, არჩევნებზე მარტო გავიდეთ, თუმცა ალიანსს დიდ პატივს ვცემთ. ძალიან ობიექტური ტელევიზია შექმნეს, განსხვავებით სხვა ტელეარხებისგან. პროქართული პოზიცია უჭირავთ. პატივს ვცემთ თარხან-მოურავსაც, ქალბატონ ირმასაც, არ გამოვრიცხავ, მაგრამ ჯერ ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, – განაცხადა მრეწველმა თოფაძემ.

მან ხაზი გაუსვა, რომ მრეწველებს ყველა საარჩევნო უბანში წარმომადგენელი ჰყავთ.

– ყველა უბანზე გვყავს დამკვირვებლები – საკმაოდ გამოცდილი ხალხი გვყავს და გვაქვს იმედი, რომ არჩევნებს არავინ გააყალბებს. ვნახოთ, პოლიტიკური სიტუაცია როგორ განვითარდება. არავისთან ალიანსს არ გამოვრიცხავთ, – განაცხადა გოგი თოფაძემ.

მართალია, თოფაძე ალიანსისკენ ისწრაფვის, მაგრამ ამაყობს იმით, რომ მის პარტიას საარჩევნო ბარიერის გადალახვა არ გაუჭირდება. ის იმაშიც დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება არჩევნებს ღირსეულად ჩაატარებს.

– ჩვენ ბარიერის გადალახვაზე არასდროს გვქონია პრობლემა. 7%-იანი ბარიერი რომ იყო, მაშინაც კი. ახლა ცალკე გავდივართ. 73 მაჟორიტარის შერჩევა ასე უცებ არ ხდება. ვმუშაობთ, რაიონებში ბევრი კარგი წარმომადგენელი გვყავს, – ამბობს მრეწველთუხუცესი.

მისი თქმით, ყველამ უნდა გაიხსენოს, რა არჩევნები ტარდებოდა და რა ძალადობა მიდიოდა.

– ბოლო წლებში ჩატარდა არჩევნები, 2013 წელს ჯერ პრეზიდენტის, მერე ადგილობრივი. თუ არ ჩავთვლით გარკვეულ დარღვევებს, რომლებიც საგარეჯოში მოხდა, ჩვენ ვერავინ მოგვედავება, კოალიციის პერიოდში რომ არჩევნები გავაყალბეთ ან რამე კანონსაწინააღმდეგო ქმედება ჩავიდინეთ. ასე რომ, ვემზადებით და მიმაჩნია, რომ ეს არჩევნები ჩატარდება ისე, როგორც ხელისუფლებას ეკადრება, – აცხადებს თოფაძე.

◆ ◆ ◆

საარჩევნოდ პარტნიორების ძებნა „ქართული ოცნების“ წევრებსაც შეიძლება მოუწიოს.

ზაქარია ქუცნაშვილი ამბობს, რომ 14 მაისის შემდეგ ბევრ მეოცნებეს მოუწევს დასვენება. ერთ-ერთი მათგანი, შესაძლოა, კახა კალაძე იყოს. გავრცელებული ინფორმაციით, მას მინისტრობიდან უშვებენ.

– დატოვებით მინისტრის პოსტს ვერავინ დაატოვებინებს. შეიძლება შესთავაზონ. ვინ მოგისჯის – წადი ახლა, სამტრედიაში იყარე კენჭი! შეიძლება შესთავაზონ ეს ამბავი და არა მარტო კახის. დაველოდოთ 14 მაისს. ბევრი დაისვენებს 14 მაისის შემდეგ, – აღნიშნა ქუცნაშვილმა.

ვიცე-პრემიერის და ამავე დროს ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის განცხადებით, ჯერ გადაწყვეტილი არ არის, იქნება თუ არა ის „ქართული ოცნების“ სიაში, თუმცა აღიარებს, რომ ამ თემაზე საუბარი მიდის.

# ზღულაძე მიდის თუ რჩება?




უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტრო არ ადასტურებს ინფორმაციას, რომ შს მინისტრის პირველი მოადგილე ეკა ზღულაძე თანამდებობის დატოვებას აპირებს.

როგორც უკრაინის შს მინისტრის მრჩეველმა ანტონ გერაშენკომ გამოცემა „უკრაინსკაია პრავდას“ განუცხადა, ზღულაძე ამჟამად შვებულებაში იმყოფება და სამსახურში დაბრუნებას 29 აპრილს გეგმავს.

გუშინ, 20 აპრილს, ზოგიერთმა გამოცემამ საკუთარ წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, რომ ეკა ზღულაძე გადადგომას გეგმავს.

კერძოდ, „პოდრობნოსტის“ ინფორმაციით, ზღულაძეს უკვე დაწერილი აქვს განცხადება, რომელიც ჯერ არ არის შეთანხმებული ამ უწყების მინისტრთან არსენ ავაკოვთან.

მედია წერს, რომ ზღულაძის მიერ თანამდებობის დატოვება სერიოზულ ზიანს მიაყენებს მინისტრ ავაკოვის იმიჯს.

ზღულაძის წასვლის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ მიზეზად სახელდება უკრაინაში შს სამინისტროში განხორციელებული რეფორმის კრახი. კორუფციული სქემებისა და მაქინაციების მეშვეობით სასამართლოები უკან აბრუნებენ სამინისტროს ძველ თანამშრომლებს, რომლებმაც ვერ გაიარეს ხელახალი ატესტაცია, ხოლო ახლების აყვანა შეგნებულად ფერხდება.

უკრაინული მედიის ცნობით, თანამდებობის დატოვება აქვს განზრახული ხატია დეკანოსიძესაც, რომელიც უკრაინის ეროვნულ პოლიციას ხელმძღვანელობს.

# გიორგი კვირიკაშვილი: „ვიზალიბერალიზაციის პროცესისადმი ოპტიმისტურად ვართ განწყობილი“

– ვიმედოვნებთ, რომ ვიზალიბერალიზაციის გზაზე საქართველოს პროგრესი დადებითად იქნება შეფასებული, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივან, ტორბიორნ იაგლანდთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

**გიორგი კვირიკაშვილი:**

**– ძალიან საინტერესო შეხვედ**რა მქონდა პრეზიდენტ იუნკერთან. ჩვენ ვიმსჯელეთ ვიზალიბერალიზაციის პერსპექტივებზე საქართველოსთვის. ბ-მა იუნკერმა მზადყოფნა გამოთქვა, გააგრძელოს ვიზალიბერალიზაციის პროცესზე მუშაობა.

მისი თქმით, საქართველო განაგრძობს მუშაობას ევროპელ პარტნიორებთან, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან, რათა მოახდინოს მხარდაჭერის კონსოლიდაცია მაისში დაგეგმილ სამუშაო შეხვედრამდე, რომელიც ვიზალიბერალიზაციის საკითხს შეეხება.

– ჩვენ ამ პროცესისადმი ძალიან ოპტიმისტურად ვართ განწყობილი, – აღნიშნა საქართველოს პრემიერმა.

◆ ◆ ◆

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ტორბიორნ იაგლანდი საქართველოში ვიზიტს გეგმავს. ამის შესახებ მან პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა. იაგლანდის თქმით, ვიზიტი უახლოეს მომავალში შედგება.

პრესკონფერენციაზე ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა აღნიშნა, რომ ურთიერთობა საქართველოსა და ევროპის საბჭოს შორის ძალიან კარგია.




მან განაცხადა, რომ საქართველო ევროპული ოჯახის წევრია.

იაგლანდმა პრესკონფერენციაზე ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ევროპის საბჭომ ყველა ინსტრუმენტი უნდა გამოიყენოს აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა უფლებების დასაცავად.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ივანიშვილმა ისეთი ხალხი შემოიკრიბა, მოიშორებენ და მთელ ქონებასაც დააკარგვინებენ“

შორენა მარსაგიშვილი





## გიგლა ბარამიძე: „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობა არ გვაწყობს“

რატომ არ მიდის ინფორმაციები ივანიშვილამდე, რა საფრთხეს უქმნის მას საკუთარი გარემოცვა, რატომ არ უნდა გაერთოს პრემიერობით კვირიკაშვილი, რა ემართებათ მეოცნებეებს ევროპაში წასვლის წინ? – ამ თემაზე „ახალ თაობას“ დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს პოლიტიკური მდივანი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

***– რამდენიმე დღის წინ გიორგი კვირიკაშვილმა საჯაროდ განაცხადა, არც ახლა და არც მომავალში დემოკრატიულ მოძრაობასთან და პატრიოტთა ალიანსთან არ ვითანამშრომლებთო. ამ დროს მისი რამდენიმე თანაპარტიელი ამბობს, რომ მომავალ პარლამენტში თქვენთან სიამოვნებით შექმნიან კოალიციას.***

– პრემიერზეა ნათქვამი, ამირან გულში მღეროდაო. გამოვიდა და განაცხადა, მოლოდინი უნდა გავაქარწყლო და დემოკრატიულ მოძრაობასთან თანამშრომლობას არ ვაპირებთო. ჩვენ არ გვეკითხება, გვინდა ან მასთან, ან სახელისუფლებო გუნდთან თანამშრომლობა? რა თქმა უნდა, მათთან არ წავალთ თანამშრომლობაზე და ისიც კარგად ვიცით, თუ რატომ ამბობს კვირიკაშვილი ჩვენზე ასეთ ცივ უარს.

„ქართულ ოცნებას“, ისევე, როგორც ნაციონალურ მოძრაობას, მხოლოდ იმ პარტიებთან სურთ თანამშრომლობა, რომლებიც მათი სატელიტები იქნებიან. ჩვენნაირი სოლიდური პარტიების ეშინიათ. რაც მთავარია, „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობა ჩვენ არ გვაწყობს.

***– რატომ ხართ ასეთ ცივ უარზე?***

– პირველ რიგში, არ გვინდა იმ შეუსრულებელი დაპირებების აკიდება, რომლებიც ხელისუფლებამ უხვად გასცა. „ქართულ ოცნებას“ ცუდად აქვს საქმე და მიკვირს, რატომ არის კვირიკაშვილი ასეთი თავდაჯერებული. მოლოდინის გაქარწყლებაზე მან ჩამოაგდო სიტყვა და მეც გავუქარწყლებ მოლოდინს, ვეუბნები, რომ მომავალ პარლამენტში ჩვენ თანამოაზრეებთან უმრავლესობას მოვიპოვებთ. შესაბამისად, უარს ვიტყვით ისეთ სუსტ პრემიერზე, როგორიც კვირიკაშვილია. ასე რომ, ნუ ცერცეტობენ და ნუ ჩქარობენ, ჯერ მოიგონ არჩევნები და მერე ილაპარაკონ.

კვირიკაშვილს მართალია პოლიტიკაში ყოფნის გამოცდილება აქვს, მაგრამ პრემიერი ნამდვილად არ არის. ეს გასულ კვირას ჟურნალისტებთან გამართულ შეხვედრაზეც დაამტკიცა. იქ არც მწვადი დაწვა და არც შამფური. როდესაც ნაცმოძრაობასთან წილნაყარი ჟურნალისტები რაიმე მწვავე კითხვას დაუსვამდნენ, ეტყოდა – იმ 9 წლის მანძილზე ბევრი კარგი რამ გაკეთდაო. ნაციონალებზე თუ დასვამდნენ კითხვას, ამბობდა, წარსულზე არ უნდა ვილაპარაკოთ. ის წარმოჩნდა როგორც კარგი მენეჯერი, მაგრამ არამც და არამც ლიდერი და პრემიერი.

***– პრემიერი ამბობს, წარსულზე საუბარს თავი უნდა დავანებოთ, ხალხი დაიღალაო. ამ დროს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი კობახიძე აცხადებს, ნაციონალებს 9 წელი ყოველდღე უნდა გავახსენოთო. რა ხდება?***

– ხალხი ამათი ტყუილებით დაიღალა. რას ნიშნავს, წარსულზე ლაპარაკი უნდა დაასრულონ? აბა, იმ ხალხს ჰკითხოს ერთი, ვისაც ქონება წაართვეს და ცხოვრება დაუნგრიეს. წარსულს რომ თავი დაანებეს, ამიტომაც არის, რომ ლამის ყოველდღე დებენ ინტერნეტში ამა თუ იმ პირებზე საზიზღრობებს. წარსულს რომ თავი დაანებეს, ამიტომ ვერ მოუძებნეს სააკაშვილს 7 კოსტუმის და 1 პალტოს მეტი ვერაფერი და ისიც ოდესიდან ხელებს გვიქნევს და გვემუქრება.

საარჩევნო სიებიც კი ვერ დაადგინეს და ესენი ამბობენ ჩვენზე, მათთან არ ვითანამშრომლებთო? ამ სიებზე ივანიშვილის განცხადება გამახსენდა. მან თქვა, რომ თავად გამოყოფდა ფინანსებს ამომრჩევლების ზუსტი სიის დასადგენად. არაფერი არ გააკეთეს და გვიმტკიცებენ, რომ საქართველოში 3 .200.000-ზე მეტი ამომრჩეველია. ამაზე მეტი დაცინვა რაღა გინდათ. თუ ქვეყანაში ამდენი ამომრჩეველია, მაშინ ჩვენი მოსახლეობა სულ მცირე 5.500.000 უნდა იყოს. ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლება არჩევნების გაყალბებას აპირებს. ამაზე სხვა ფაქტებიც მეტყველებს.

***– რა ფაქტებია კიდევ?***

– წინა კვირაში ნაციონალების ერთ-ერთმა დანამატმა ენდიაიმ პარტიების რეიტინგები გამოაქვეყნა. გამოვიდნენ „ოცნების“ ლიდერები და სერიოზული სახით დაიწყეს ამ სისულელეზე კომენტარების გაკეთება. გვიმტკიცებენ, პარლამენტში უმრავლესობით მოვალთ და ყველა მაჟორიტარულ ოლქში ჩვენ მოვიგებთ არჩევნებსო. რანაირად უნდა მოიგოთ არჩევნები, როცა თქვენი რეიტინგი პლინტუსის ქვევითაა.

მათი ასეთი განცხადებები იმაზე მიუთითებს, რომ მმართველი ძალა არჩევნებში უხეშად აპირებს ჩარევას. ამას არეულობა და ხალხის ქუჩაში გამოსვლა მოჰყვება. ვაფრთხილებ, მოეშვან ცანცარობას და პოლიტიკურ კოხტაპრუწობას, თორემ აუტკივარ თავს აიტკივებენ.

***– ზემოთ ივანიშვილი ახსენეთ და რითი ხსნით მის გაუჩინარებას? ჯერ კიდევ გასულ წელს ამბობდა, რომ პოლიტიკაში თებერვლიდან გამოჩნდებოდა, მაგრამ დღემდე დუმს.***

– ვინ თქვა, რომ არ ჩანს. რაც დღეს ქართულ პოლიტიკაში ხდება, ეს ყველაფერი სწორედ მისი სტილია. ივანიშვილი ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებს თავის გეგმას. ყველა მნიშვნელოვანი საკითხი მხოლოდ მის მიერ წყდება. როგორც ივანიშვილი იტყვის, ყველაფერი ისე იქნება.

***– მის გუნდში რომ თითქმის ყველა საკითხზე აზრთა სხვადასხვაობაა, ეს რისი მანიშნებელია, ვიღაცებს სურთ, რომ მისი კონტროლიდან გავიდნენ?***

– ეს არაფერს არ ნიშნავს. ივანიშვილი ამ დონეზე არ ეშვება, ესენი მიშვებული არიან და რასაც უნდა, იმას ტლიკინებენ. გადაწყვეტილებას კი ივანიშვილი ღებულობს. ამ გუნდში არის რამდენიმე ღირსეული ადამიანი, რომლებიც ცდილობენ ამინდის შექმნას, მაგრამ არ გამოსდით.

***– ღირსეულ ადამიანებად ვის თვლით?***

– ოპოზიციაში ვარ და მათ გვარებს არ დავასახელებ. არ მინდა, მერე მათ ჩემთან ან ოპოზიციასთან რაიმე ტიპის თანამშრომლობა დააბრალონ. ივანიშვილის ჩართულობაზე გავაგრძელოთ ისევ საუბარი.

მართალია, საბოლოო გადაწყვეტილებებს ის ღებულობს, მაგრამ ბევრი რამის საქმის კურსში არ არის.

მის გარშემო უამრავი ადამიანია, რომლებმაც ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე ინფორმაცია უნდა მიაწოდონ. ამ ხალხს ინფორმაცია კი მიაქვს, მაგრამ ისე, რომ მის კარზე საკუთარი პოზიციები გაიმყარონ. არავინ ეუბნება, ქვეყანაში რეალურად რა მდგომარეობაა. საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს, პულსი აღარ ესინჯება. სამარცხვინოზე სამარცხვინოა, როცა ერთი ყმაწვილი კანდელაკი მთელ სახელმწიფო აპარატს ჯობნის საერთაშორისო არენაზე.

ნატოსთან ხომ საცოდაობა ტრიალებს. იმას აღარ ვამბობ, ზოგიერთ მინისტრს საკუთარი თავი ნატო რომ ჰგონია. ცოტა ხნის წინ გვითხრეს, რომ მისი უდიდებულესობა მაპი არ გვჭირდება. წინა სამიტის დროს გვითხრეს, თურმე საჭირო ყოფილაო მაპი. ახლა გვეუბნებიან, მაპის გარეშეც შეგვიძლია ნატოში შესვლა. ქვეყანა 25 წელია ქარის წისქვილებს ებრძვის და ნატოში შესვლას ლამობს და ერთი სამოქმედო სტრატეგია არ აქვთ. რომელიმე უცხოელმა საქართველოზე თუ რამე წამოაყრანტალა, ჩაეჭიდებიან ამ აზრს და მთელი ქართული დელეგაცია თუთიყუშებივით იმ ვიღაცის ნათქვამს იმეორებს.

ყველაზე ცუდი ის არის, რომ ნატოს ყოველი სამიტის წინ რაღაც არნახულ მოლოდინებს ქმნიან. არადა წინასწარ იციან, რომ ბუს კვერცხებს მიიღებენ. ნატოს ხელმძღვანელობამ არაერთხელ გვითხრა, რომ ალიანსის გაფართოება არ იგეგმება.

***– მოდით, ისევ შიდა პოლიტიკურ პროცესებს დავუბრუნდეთ. წინა ინტერვიუში გამოთქვით ვარაუდი, რომ კვირიკაშვილსა და პრეზიდენტს შორის რაღაც გარიგება შედგა. ცოტა ხნის წინ ისინი ერთმანეთს არჩევნების თარიღის გამო დაუპირისპირდნენ და რა ხდება, რამეზე ვერ შეთანხმდნენ?***

– არა, არა, არა. ამათ არც გარიგება შეუძლიათ და არც გამორიგება. ამათი მთავარი ახლა ისაა, რომ როგორმე არჩევნებამდე თანამდებობები შეინარჩუნონ. ამისთვის რაღაც სცენარებს წერენ, რომ მოსახლეობის ყურადღება გადაიტანონ.

ესენი რომ ასეთი ჩაჩნები არ ყოფილიყვნენ, ენდიაი იმას ვერ გაგვიბედავდა, რაც ბოლო კვლევისას გაბედეს. კითხვები ჩახლართეს, რათა ქართველ კაცს ზუსტად არ ეთქვა, რას თვლის ნომერ პირველ პრობლემად. ნაციონალებთან წილნაყარმა ენდიამ კითხვა ისე დასვა, რომ ქართველ კაცს ათქმევინა, ნომერ პირველი პრობლემა საჭმელიაო.

***– რაში აწყობდა ენდიაის ასეთი სურათის დახატვა?***

– იმ ჯგუფებს, რომლებიც ამ ორგანიზაციის უკან დგანან, ასეთი სურათი უნდათ. სურთ, დასავლეთს დაუმტკიცონ, რომ საქართველოში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა აღარ უნდათ.

***– იქნებ მართლა ასეა?***

– გამორიცხულია. რაც არ უნდა უჭირდეს ქართველ კაცს, დედასამშობლოს პურს არ ანაცვალებს. ენდიაის და მათ დამქირავებლებს ამ განწყობის ჩაწიხვლა სურთ.

***– ზემოთ თქვით, რომ ივანიშვილთან რეალური ინფორმაცია არ მიაქვთ. თქვენი აზრით, მას ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებენ თუ მათთვის სასურველ ამბებს აწვდიან?***

– ყველა ცდილობს მის კარზე საკუთარი პოზიციის გამყარებას. ამიტომაც აწვდიან ისეთ ინფორმაციებს, რომლებიც მათ ინტერესებში შედის. ამის გარდა, მას ინფორმაციულ ვაკუუმშიც ამყოფებენ. ერთადერთი, ვინც მას რეალურ ინფორმაციას აწვდის, არის სუსის უფროსი ვახტანგ გომელაური. დანარჩენებს მასთან ტყუილი ინფორმაციები მიაქვთ. ივანიშვილი ქვეყანაში არსებულ ვითარებას კარგად რომ იცნობდეს, სხვა გადაწყვეტილებებს მიიღებდა.

***– დარწმუნებული ხართ, რომ სხვანაირ გადაწყვეტილებებს მიიღებდა?***

– დარწმუნებული ვარ. ამ კაცს ანალიზის შესანიშნავი უნარი აქვს, კარგი მოთამაშეა და სხვანაირად იმოქმედებდა.

სამწუხაროდ, ეტყობა, არც ივანიშვილს სურს თავის გარშემო სიმართლის მთქმელი ხალხი. მას ისეთები სჭირდება, ვინც კარგად მოემსახურება. დაჩემებული აქვს ივანიშვილს ნიცშე. ჰოდა, მაგის ნიცშეს აქვს კარგი ნათქვამი მაგის გარშემო მყოფი ადამიანებისნაირებზე – პეშვიდან წყალი როგორც დაიცლება, ასე შემოეფანტება ეს ხალხი და მარტო დარჩება.

***– არის იმის ალბათობა, რომ გარემოცვამ მარტო დატოვოს?***

– ისეთი ხალხი შემოიკრიბა, მოიშორებს და მთელ ქონებასაც დააკარგვინებს მაგის გარემოცვა. ეს ხალხი ყველა ხელისუფლებას ასე მოექცა და არც ახლა დაიხევს უკან. მართალია, ივანიშვილი ხელისუფლებაში აღარ არის, მაგრამ რაც არ უნდა იფილოსოფოსოს კვირიკაშვილმა, გადაწყვეტილებებს მაინც ის ღებულობს. და რაკი ივანიშვილია ქვეყნის არაფორმალური მმართველი, უმჯობესი იქნება, რეალური სურათი იცოდეს.

# კასრში მამაკაცის ცხედარი იპოვეს

## 2014 წელს მომხდარი დედა-შვილის მკვლელობა გახსნილია



შინაგან საქმეთა სამინისტრო 2014 წელს, თბილისის ზღვაზე მომხდარი მკვლელობის დეტალებს ასაჯაროებს. როგორც უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, დედა-შვილის მკვლელობა თანხის დაუფლების მიზნით, 2-მა პირმა დაგეგმა.

– 2014 წლის 17 დეკემბერს, თბილისის ზღვის დასახლებაში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში ნაპოვნი იქნა 1965 წელს დაბადებული ნატო კვეზერელის ცხედარი, ხოლო მისი შვილი – 1986 წელს დაბადებული გურამ კვეზერელი გაუჩინარდა.

სამართალდამცველებმა, საქმეზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, დაადგინეს, რომ 2-მა პირმა კვეზერელების კუთვნილი თანხის დაუფლების მიზნით, დედა-შვილის მკვლელობა დაგეგმა.

ამ მიზნით, 2014 წლის 17 დეკემბერს დამნაშავეებმა კოჯორში, ერთ-ერთ აგარაკზე, მოტყუებით მიიყვანეს გურამ კვეზერელი და ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობა მიაყენეს, რის შედეგადაც იგი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

დანაშაულის დაფარვის მიზნით, დამნაშავეებმა გარდაცვლილის ცხედარი მოათავსეს კასრში, დაასხეს სპეციალური მჟავა და აგარაკის ეზოში ჩამარხეს.

იმავე დღეს, აღნიშნული პირები, განზრახვის სისრულეში მოყვანისთვის, მივიდნენ თბილისის ზღვის დასახლებაში, გურამ კვეზერელის დედის, ნატო კვეზერელის სახლში.

ნატო კვეზერელს ცივი იარაღით მრავლობითი ჭრილობა მიაყენეს, რის შედეგადაც იგი ადგილზე გარდაიცვალა.

დამნაშავეებმა სახლიდან 12.000 აშშ დოლარი, გურამ კვეზერელის სახელზე გაფორმებული 2 ცეცხლსასროლი იარაღი, პორტატიული კომპიუტერი, პირადი ნივთები გაიტაცეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ, – აცხადებენ უწყებაში.

მათივე ინფორმაციით, სამართალდამცველების მიერ ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნაპოვნია გარდაცვლილი გურამ კვეზერელის ცხედარი, ამოღებულია გარდაცვლილის სახლიდან გატაცებული პორტატიული კომპიუტერი და მისი კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღი.

– დანიშნულია შესაბამისი ექსპერტიზები დამნაშავეების, დანაშაულის ადგილებისა და ცხედრებიდან აღებული დნმ-ის ნიმუშების იდენტიფიცირებისთვის.

აღნიშნულ საქმეზე, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით, შსს-ს თანამშრომლებმა ორი პირი დააკავეს. გამოძიება მათ მიმართ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით მიმდინარეობს.

რაც შეეხება უშუალოდ დანაშაულის ჩამდენ პირებს, მათ ბრალი საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლით წარედგინათ, რაც დამამძიმებელ გარემოებაში ორი ან მეტი პირის განზრახ მკვლელობას გულისხმობს. ერთ-ერთი ბრალდებული დაკავებულია.

სამართალდამცველებმა მეორე დამნაშავის ადგილსამყოფელიც დაადგინეს, იგი საზღვარგარეთ იმყოფება და მისი ექსტრადირებისთვის შესაბამისი ღონისძიებები მიმდინარეობს, – აღნიშნავენ შსს-ში.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სანდრო ბრეგაძე: „ჩვენ პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით გამოვალთ“

ნონა ცაბაძე

ეროვნულების ლიდერი სანდრო ბრეგაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ბოლო პერიოდის მოვლენებს აფასებს და აცხადებს, რომ თუ პრეზიდენტი რეფერენდუმს არ დანიშნავს, დაიწყება მასობრივი გამოსვლები პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით.
მისი თქმით, პარლამენტში შესულია საკითხი, რომლის მიხედვითაც, კონსტიტუციაში უნდა შევიდეს ცვლილება, რომ ოჯახი არის მამაკაცისა და ქალის ერთობა.
ამ საკითხმა ცოტა სხვაგვარი სახე შეიძინა ბოლო პერიოდია, – ამბობს სანდრო ბრეგაძე.



***– სხვაგვარში რას გულისხმობთ?***

– რაღაც პოლიტიკური ქულების დაწერის, პოლიტიკური აქტიობების, არჩევნებისთვის მზადების შემადგენელ ნაწილად იქცა. როდესაც მე და ჩემი მეგობრები ამ საკითხის ინიცირებას ვახდენდით, ჩვენ საერთოდ არ ვფიქრობდით პოლიტიკური ქულების დაწერაზე. პირიქით, ჩვენთვის მთავარი იყო, რომ ეს საკითხი გამხდარიყო გარანტი იმისა, რომ ერთსქესიანთა ქორწინება არასოდეს დაკანონდება ჩვენს ქვეყანაში.

***– პასიურობს პარლამენტი?***

– მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დეპუტატებთან გვქონდა საუბარი, მათ გვთხოვეს, რომ ეს საკითხი არ დაგვეყენებინა რეფერენდუმზე, რადგან ისინი მოახერხებდნენ საჭირო ხმების შეგროვებას და საკონსტიტუციო უმრავლესობით ამის გატანას, ჩვენც დავეთანხმეთ და დაველოდეთ. თუმცა მას შემდეგ, რაც კოალიცია დაიშალა, ჩვენ ვაწყდებით რთულ სიტუაციას.

***– აღარ გროვდება საკმარისი ხმები თუ რა ართულებს საქმეს?***

– რამდენიმე ფრაქცია თავს იკავებს ამ ცვლილების მხარდაჭერისგან. ეს დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საკითხს, რომ ეს საკონსტიტუციო ცვლილება გავიდეს პარლამენტში. ამ ცდაში დიდი დრო დაიკარგა. ამიტომ, ჩვენ პრემიერ-მინისტრის სახელზე შევიტანეთ განაცხადი და მოვთხოვეთ მას, რომ შესულიყო საქართველოს პრეზიდენტთან თხოვნით, რომ აღნიშნული საკითხი დამდგარიყო რეფერენდუმზე. საქართველოს მთავრობას აქვს იმის უფლება, რომ პრეზიდენტს სთხოვოს გარკვეული საკითხების რეფერენდუმზე დაყენება.

***– არც რეფერენდუმზე გადის ეს საკითხი?***

– პრემიერსა და პრეზიდენტს შორის ამ საკითხთან დაკავშირებით იყო კონსულტაციები და პრეზიდენტმა თავი შეიკავა აღნიშნული საკითხის რეფერენდუმზე გასვლისგან. სწორედ აქედან გამომდინარე ჩვენ მივმართეთ საქართველოს პრეზიდენტსაც.

ის ჩვენი პრეზიდენტია და უნდა იყოს ქართველი ხალხის ნების აღმსრულებელი. თუ პრეზიდენტი არ გაითვალისწინებს, არ დანიშნავს რეფერენდუმს, უპირობოდ მივმართავთ მასობრივ საპროტესტო აქციებს, მშვიდობიანი პროტესტის ყველა ფორმას და მოვითხოვთ მარგველაშვილის გადადგომას!

***– პრეზიდენტს პოზიცია არ დაუფიქსირებია?***

– რა თქმა უნდა, არ დაუფიქსირებია! ჩვენ გვაინტერესებს, საქართველოს პრეზიდენტი უჭერს თუ არა მხარს საკონსტიტუციო ცვლილებას, რომლითაც იკრძალება ერთსქესიანთა ქორწინება! ჩვენ ველოდებით მისი პოზიციის დაფიქსირებას.

რამდენიმე პარტიას ვალდებულება აღებული აქვს, რომ ერთსქესიანთა ქორწინება უნდა დააკანონონ და ამას მომავალ პარლამენტში გეგმავენ. ეს არ არის უბრალო საკითხი, ეს მნიშვნელოვანია, რადგან ამაზე გადის ჩვენი მომავალი თაობების ზნეობის, მორალის და განვითარების საკითხი.

**„სამინისტროების 80% დაკომპლექტებულია ნაციონალების მხარდამჭერებით. ისინი მიშას დაძახილს ელიან და მზად არიან, საჭირო დროს საჭირო ქმედებები დაიწყონ“**



***– წინ არჩევნებია, თქვენ ასევე საუბრობთ, რომ მომავალი პარლამენტი კიდევ უფრო ანტიეროვნული იქნება. რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?***

– სიცოცხლეს გავწირავ და არ დავუშვებ იმას, რასაც ეს მოღალატეები აპირებენ. არჩევნების წინ ბევრი პარტია გამოვა ფსევდოიდეებით, რათა ამომრჩეველი მოატყუონ, ასე შევლენ პარლამენტში და შემდეგ ანტიდისკრიმინაციულ კანონს გააძლიერებენ, ჰომოსექსუალებს განუსაზღვრელ უფლებებს მიანიჭებენ.

***– კოალიცია დაშლილია და ყველამ ცალ-ცალკე უნდა მოსინჯოს ძალები. საუბარია, რომ „ოცნების“ რეიტინგი მკვეთრად დაეცა. ნაციონალები მხოლოდ ორი პროცენტით ჩამორჩებიან. 15-13-ზე – ასე გამოიყურება მათი რეიტინგები.***

– რასაკვირველია, 2012 წლის არჩევნებთან შედარებით, „ქართული ოცნების“ რეიტინგი დაკლებულია. თუმცა იმ კვლევის შედეგები, რომელიც გასულ კვირას გამოქვეყნდა, იყო ოდესაში, მიხეილ სააკაშვილთან შეთანხმებული და გიგა ბოკერიასთან კონსულტაციებ გავლილი.

ეს არის ფალსიფიკაცია და ეს არის სურვილი გარკვეული ძალებისა, რომ სწორედ ასეთი პოლიტიკური კონფიგურაცია იხილონ მომავალ პარლამენტში. ეს სურვილია და არა რეალობა. ეს რეიტინგები არის პირდაპირი მოწოდება რევოლუციისა და თბილისური მაიდნისკენ.

***– თქვენ აცხადებთ, რომ არჩევნების შემდეგ ეს იგეგმება?***

– რა თქმა უნდა, იგეგმება. შეხედეთ, რა პროპაგანდა მიმდინარეობს ნაციონალების მიერ კონტროლირებადი ტელევიზიებით. დღეს ნიადაგი მზადდება იმისთვის, რომ ქვეყანაში მოხდეს თბილისური მაიდანი. ან არასამთავრობოების განცხადებებს მოუსმინეთ. ისინი ცდილობენ, შექმნან რევოლუციური სიტუაცია და ამ არჩევნებს მოჰყვეს ახალი რევოლუცია.

სააკაშვილმა პირდაპირ განაცხადა, რომ ივანიშვილის მთავრობა ნებით წამსვლელი არ არის და ქვეყანაში ისეთი პროცესები უნდა განვითარდეს, რომელიც მათ აიძულებს ხელისუფლებიდან წასვლას. ძალიან ადვილი მისახვედრია, რომ სააკაშვილი გადატრიალებაზე საუბრობს! მათ ამ სცენარში ბევრი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას. ისინიც, ვინც ხელისუფლების მხარდამჭერი გვგონია.

***– ვინ გყავთ მხედველობაში?***

– აღმასრულებელ ხელისუფლებაში ბევრი ადამიანია ჩანერგილი და საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე! მე, როგორც ხელისუფლების ყოფილი წევრი, ამაზე საკმაოდ ბევრ ინფორმაციას ვფლობ. ძალიან დიდი ინფორმაციის მატარებელი ვარ.

სამინისტროების 80% დაკომპლექტებულია ნაციონალების მხარდამჭერებით. ისინი მიშას დაძახილს ელიან და მზად არიან, საჭირო დროს საჭირო ქმედებები დაიწყონ.

ბიძინა ივანიშვილს ინფორმაციებს არასწორად აწვდიან, რათა ის ჰყავდეთ ინფორმაციულ ვაკუუმში. ამას ახერხებენ ის ადამიანები, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის გარემოცვის დავალებით მოქმედებენ.

საიდან აქვთ ნაციონალებს ამდენი საიდუმლო ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ხდება ქვეყნის ძალოვან უწყებებში?! საიდან და შიგნიდან, იმ მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან, რომლებიც დღესაც სააკაშვილის ერთგულები რჩებიან.

# ნუკრი ქანთარია: „ამომრჩევლისთვის ჩიჩინი, რომ არჩევნებზე მოვიდეს, გამაღიზიანებელი იქნება“

ნუკრი ქანთარიას ინფორმაციით, არჩევნების დღის დანიშვნასთან დაკავშირებით პრეზიდენტის განკარგულების ამოქმედებისა და წინასაარჩევნო კამპანიის გამოცხადების კუთხით მმართველი გუნდში რაიმე ტიპის საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საკითხი არ განიხილება.



ქანთარიას განმარტებით, პირადად გედევან ფოფხაძის აზრია, რომ უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება კანონში ცვლილებები შევიდეს, თუმცა დეპუტატის თქმით, აღნიშნული ამჟამად საერთოდ არ განიხილება.

**ნუკრი ქანთარია:**

– საერთოდ, მგონია, რომ აურზაური არაფრის, ელემენტარული გაუგებრობის გამო შეიქმნა. ყველამ ვიცით, რომ არჩევნები ოქტომბერში უნდა ჩატარდეს. იყო ნიუანსი, რომელმაც გარკვეული აჟიოტაჟი გამოიწვია.

მე იმედი მაქვს, რომ ეს ის თემა არ არის, რაზეც შეთანხმება ვერ მოხდება – პრემიერს და პრეზიდენტს კომუნიკაცია არ უჭირთ და ვფიქრობ, რომ საკითხი ძალიან მალე მოგვარდება.

დეპუტატის განცხადებით, წინასაარჩევნო კამპანიისთვის სამი თვე ნორმალური და საკმარისი პერიოდია, ხოლო კამპანიის დაწყება არჩევნებამდე სამ თვეზე მეტი ხნით, გადაღლის არა მხოლოდ საზოგადოებას, არამედ არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ სუბიექტებს.

– ეს ყველასთვის საზარალო იქნება, ვინც ამ სივრცეში მონაწილეობს და უკუშედეგებს გამოიწვევს. ჩვენ გვინდა, არჩევნებზე ამომრჩეველი მოვიდეს და ამის 5-6 თვის განმავლობაში ჩიჩინი, პირიქით, გამაღიზიანებელი იქნება. ამიტომ წინასაარჩევნოდ ნორმალური, ზომიერი ვადა უნდა ავიღოთ, – აცხადებს ქანთარია.

არჩევნების დანიშვნასთან დაკავშირებით პრეზიდენტსა და მთავრობას შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში საარჩევნო კოდექსში, შესაძლოა, ცვლილებები შევიდეს.

# გია ვოლსკი: „არ გვინდა, ოპოზიციასთან მოლაპარაკებები დავიყვანოთ რაღაც თანხაზე“



– ჩვენ არ გვინდა, რომ არასაპარლამენტო ოპოზიციასთან მოლაპარაკებები დავიყვანოთ რაღაც თანხაზე ან მერკანტილიზმზე, რომ ამა თუ იმ გუნდმა მიიღოს თანხა და ამით შეინარჩუნოს და გაიხანგრძლივოს თავისი ყოფნა პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე, – ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ლიდერმა გიორგი ვოლსკიმ არასაპარლამენტო ოპოზიციასა და უმრავლესობას შორის მიმდინარე მოლაპარაკებების კომენტირებისას განაცხადა, რომლის ფარგლებში შეთანხმდნენ, რომ საარჩევნო სუბიექტი, რომელიც 2%-ს დააგროვებს, კვალიფიციურ სუბიექტად ჩაითვლება.

**გია ვოლსკი:**

– ამ თემაზე მიდის მოლაპარაკებები. ვფიქრობ, ასეთი მიდგომა სამართლიანია. რაც შეეხება სისტემის ცვლილებას, ამის სურვილი რომც მქონდეს, საჭიროა, საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება, – განაცხადა გიორგი ვოლსკიმ.

მისივე თქმით, „ქართული ოცნება“ მზად არის 2020 წლიდან მხარი დაუჭიროს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას. ამასთან, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე არ იზიარებს იმ მიდგომას, რომ მანამდე მაჟორიტარების რაოდენობა 50-მდე შემცირდეს.

**ინტერპრესნიუსი**

# ოსური მხარე ქართულ მხარეს სააღდგომოდ საფლავებზე გასვლის უფლების მიცემას არ დათანხმდა

ინციდენტების პრევენციის ფორმატში ერგნეთში ხუთსაათიანი მოლაპარაკება დასრულდა, თუმცა ქართული მხარის მიერ დაყენებული ძირითადი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირაკლი ბერაია საოკუპაციო ხაზთან დაკავებულების გათავისუფლების პარალელურად, ახალგორის რაიონში ორი წლის წინ მოკლული დავით ბაშარულის ცხედრის ექსპერტიზის დასკვნასაც ითხოვდა. ასევე, ქართულმა მხარემ მოლაპარაკებაზე ერთ-ერთ მთავარ საკითხად დააყენა აღდგომის დღეებში საფლავებზე გასვლის უფლების მიცემა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები იმ მოქალაქეებისთვის, რომელთა ახლობლების საფლავები ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს.




თუმცა, ოსური ჯგუფის ხელმძღვანელის, დავით სანაკოევის განცხადებით, აღნიშნულთან დაკავშირებით, დე ფაქტო ხელისუფლება არანაირ ცვლილებას არ გეგმავს და, შესაბამისად, მხოლოდ დღემდე მოქმედი რეგულაცია იქნება ძალაში, ანუ ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღდგომის დღესასწაულზე ახალგორისა და ქარძმანის საგუშაგოების გავლით მხოლოდ ის მოქალაქეები შეძლებენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასვლას, ვინც შესაბამისი ე.წ. საშვების გამოყენებით დღემდე გადაადგილდება აღნიშნულ რაიონებში.

რაც შეეხება ე.წ. საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით დაკავებულ ორ პირს, სანაკოევის თქმით, მათი გათავისუფლების საკითხი შესაბამისი პროცედურების საფუძველზე სასამართლოს დასრულების შემდეგ გაირკვევა.

ერთადერთი საკითხი, რაზეც ინციდენტების პრევენციის ფორმატში მხარეები თანამშრომლობას ახერხებენ, საირიგაციო სისტემების ამოქმედებაა. სარწყავი სისტემებით როგორც ქართული, ასევე ოსური სოფლების მოსახლეობა სარგებლობს. სარწყავი სისტემების ინფრასტრუქტურის ერთობლივ მოწესრიგებაზე ერგნეთის შეხვედრაზე შეთანხმება დაახლოებით ორი თვის წინ შედგა.

ინციდენტების პრევენციის ფორმატში ერგნეთის მორიგი 66-ე შეხვედრა 16 მაისს გაიმართება.

**ინტერპრესნიუსი**

# ავთანდილ უნგიაძე: „რა უფლება აქვს სახალხო დამცველს, რომ ეკლესიებში ექსკურსიებს ეწინააღმდეგება?“

მარიამ მჭედლიშვილი

**არასამთავრობო ორგანიზაცია „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“ უჩა ნანუაშვილს ისევ ბრალდებებს უყენებს. ერთი საპროტესტო აქცია ომბუდსმენის ოფისთან უკვე გაიმართა. მისი წარმომადგენლები გაჩერებას არ აპირებენ. „ახალი თაობა“ ორგანიზაციის მოთხოვნებზე ესაუბრა „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ ხელმძღვანელ ავთანდილ უნგიაძეს.**



**ავთანდილ უნგიაძე:**

– უჩა ნანუაშვილის საქმიანობა მიმართულია ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის წინააღმდეგ. თანამდებობით სახალხო დამცველია. სინამდვილეში, ის მხოლოდ რელიგიური და სექსუალური უმცირესობების უფლებებს იცავს, მართლმადიდებლებს კი ებრძვის. ის არანაირი სახალხო დამცველი არ არის.

***– ამ ბრალდებას რითი ასაბუთებთ?***

– ამის დასამტკიცებლად მაგალითი ბევრია. ცოტა ხნის წინ ბათუმში მშენებარე ეკლესიის გალავანი მოანგრიეს. ეს გააკეთა უცხო ქვეყნის მოქალაქემ. ამაზე უჩა ნანუაშვილს ხმა არ ამოუღია. დარწმუნებული ვარ, არამართლმადიდებლურ საკულტო ნაგებობას რომ კენჭი ჩამოვარდნოდა, ამაზე ნანუაშვილი განგაშს ატეხდა.

***– რატომ ხართ ამაში დარწმუნებული?***

– იმიტომ, რომ სულ ასე იქცევა. იგი შეურაცხყოფს მართლმადიდებლების რელიგიურ გრძნობებს. სახალხო დამცველი ოფიციალურ ანგარიშში წერს, რომ მოსწავლეების ეკლესიებში წაყვანა და მოძღვრების მიერ მათი იქ დალოცვა დისკრიმინაციაა. საერთოდაც, ის წინააღმდეგია, რომ ბავშვები ექსკურსიებზე ატარონ ეკლესია-მონასტრებში.

## „უჩა ნანუაშვილის წინააღმდეგ აქტიურობას არ შევწყვეტთ“

***– ეკლესიებში ექსკურსიებს კომუნისტებიც კი არ კრძალავდნენ.***

– მართლაც ასეა. კომუნისტები ულმერთოები იყვნენ. ისინი რელიგიურ უმცირესობებსაც არ სწყალობდნენ. უჩა ნანუაშვილი ისეა გადავარდნილი რელიგიური უმცირესობების ქომაგობასა და მფარველობაში, რომ ხელყოფს მართლმადიდებლების გრძნობებს. თურმე, სალოცავებში წასვლა დისკრიმინაცია ყოფილა, ხოლო მართლმადიდებელი ეკლესიის ლანძღვა, მის წინააღმდეგ ცილისწამებისა და დეზინფორმაციის გავრცელება, გამოხატვის თავისუფლება.

***– ანტიეკლესიურ მოქმედებებში რას გულისხმობთ?***

– ეკლესიის წინააღმდეგ კეთდება განცხადებები. მიდის მისი ლანძღვა. საპატრიარქოსთან მოუწყვიათ შეურაცხმყოფელი აქციები სალანძღავი ლოზუნგებით. ერთ აქციას დაარქვეს „დეზინფექცია“. ბუნებრივია, ამაზე ნანუაშვილს ხმა არ ამოუღია.



***– სხვა ომბუდსმენებთანაც გქონიათ პრეტენზიები?***

– დიახ. მაგალითად, გიორგი ტუღუშთან. ტუღუშმა ერთხელ აღიარა, რომ საკუთარი ბებია იეღოველს ეძახის. გიორგი ტუღუშიც ისე ებრძოდა მართლმადიდებლობას, რომ ოჯახის წევრებსაც კი ანერვიულებდა. სხვათა შორის, ნანუაშვილს წესიერი მშობლები ჰყავს. ისინი მართლმადიდებლები არიან.

***– ნანუაშვილს გადადგომისკენ მოუწოდებთ?***

– მოვუწოდებთ, შეასრულოს თავისი ფუნქცია და დაიცვას ყველას უფლებები, იყოს ობიექტური. თუ ამას არ გააკეთებს, მაშინ, კეთილი ინებოს და გადადგეს.

***– მისი მოადგილე პაატა ბელთაძე აცხადებს, რომ უჩა ნანუაშვილი ობიექტურია.***

– მედიასთან კომენტარში აბა, რა უნდა ეთქვა? ჩვენთან შეხვედრა ვერავინ გაბედა. ხალხთან გამოსაჩენი პირი არა აქვთ და იმიტომ. ნანუაშვილის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულება ტრანსგენდერებისთვის კარგი პირობების შექმნაა. თუ ვინმე სქესს შეიცვლის, ამის რეგისტრაცია უნდა გამარტივდეს. ალბათ, მალე იმასაც მოითხოვს, რომ სქესის შეცვლის ოპერაციები სახელმწიფომ დააფინანსოს. ბოლო დროს აღმოჩნდა, რომ ნანუაშვილი ფუფუნების მოყვარულიც ყოფილა.

***– კერძოდ?***

– სახალხო დამცველის აპარატმა ახლახან შეიძინა 105 ათასიანი ჯიპი. ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც ბევრი ადამიანი შიმშილობს. თუ ასეთი იდეურია ომბუდსმენი და ვიღაცის უფლებებს მაინც იცავს, ასეთ ძვირადღირებულ მანქანაში როგორ ჯდება?

ჩვენ მივმართავთ არა მარტო თავად სახალხო დამცველს, არამედ ხელისუფლებასაც. ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას უსამართლობა და მართლმადიდებლების გრძნობების შეურაცხყოფა. თუ არაფერი შეიცვალა, ნანუაშვილი უნდა წავიდეს. სახელმწიფომ ამისათვის გარკვეული მექანიზმები უნდა აამოქმედოს.

# ზაზა მიქაძე: „ფრანგიშვილი უნდა გადადგეს“

ნათია ხურცილავა

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 5 პროფესორი უკვე მე-10 დღეა, რაც შიმშილობს. მათი ერთ-ერთი მოთხოვნა რექტორ არჩილ ფრანგიშვილის გადადგომაა.

აღნიშნულ მოთხოვნას გუშინ კიდევ ერთი მოთხოვნა დაემატა: ტექნიკურ უნივერსიტეტში შევიდეს ფინანსური პოლიცია და განათლების აუდიტის სამსახური.

ზაზა მიქაძე, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, მე-4 დღეა, რაც მშრალ შიმშილობაზე გადავიდა. „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ის განმარტავს, რატომ მიმართა პროტესტის უკიდურეს ფორმას.

**ზაზა მიქაძე:**

– ტექნიკურ უნივერსიტეტში აშკარა და უტიფარი უკანონობა სუფევს. სასწავლო პროცესი კატასტროფულ დონეზეა. ვერ ვასწავლით სტუდენტებს ისე, როგორც ეს თანამედროვე სტანდარტებს შეეფერება. თუ ეს არ გამოსწორდა, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და მის კურსდამთავრებულს მომავალი არ ექნება.

მიუხედავად ამისა, ტექნიკურ უნივერსიტეტში მესამე ვადით აირჩიეს რექტორი, კანცლერი და აკადემიური საბჭო, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ. ტექნიკური უნივერსიტეტის დღევანდელ ადმინისტრაციას ჰგონია, რომ არ არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ უარი უთხრან უკანონობას. მათ აშფოთებთ ის, რომ გამოჩნდნენ ადამიანები, ვისაც არ ეშინიათ.

ჩვენ არ გვეშინია. როგორ უნდა შემეშინდეს დღეს, როდესაც სრულიად პატარა ბიჭი ვიყავი, 14 წლის, 1972 წელს, 23-ე სკოლაში, სადაც ვსწავლობდით, მე, გიორგი ცხაკაიამ და ზაზა აბაშიძემ გამოვაკარით პროკლამაცია, სადაც ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას განთავისუფლებას და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას მოვითხოვდით. მაშინ ბილეთში ჩამიწერეს, რომ საბჭოთა მოსწავლისთვის შეუფერებელი საქციელი ჩავიდინე.

***– შიმშილობის დაწყების კონკრეტული მიზეზი რა იყო?***

– ეს არის ორი ძირითადი მიზეზი: უკანონოდ, მესამე ვადით რექტორის არჩევა და არსებული საგანმანათლებლო დონე, რომელიც ვერ უძლებს კრიტიკას.

***– რატომ ახლა, ფრანგიშვილი ხომ ახლა არ აურჩევიათ მესამე ვადით?***

– რექტორის არჩევნები რომ ჩატარდა, ჩვენ წერილით მივმართეთ განათლების მინისტრს. მოვითხოვეთ საჯარო ინფორმაცია, თუ რის საფუძველზე გატარდნენ მესამე ვადით ზედიზედ არჩეული რექტორი, კანცლერი და აკადემიური საბჭო, ეს ხომ ეწინააღმდეგებოდა კანონს.

სამი თვე ველოდეთ პასუხს, 10-ჯერ მივედი სამინისტროში, რომ პასუხი მიმეღო. სხვა გზა არ დაგვიტოვეს. ამიტომ მივმართეთ ამ უკიდურეს ფორმას.

თუ ავტონომია აქვს უნივერსიტეტებს და არაფერი ევალება განათლების სამინისტროს, მაშინ რაში ვუხდით ასეთ მაღალ ხელფასს ბიუჯეტიდან? რა მოვალეობა ეკისრება თამარ სანიკიძეს, აბსოლუტურად გაუგებარია.




**„წიგნები, რომლებითაც ტექნიკურ უნივერსიტეტში ასწავლიან, მეორე მსოფლიო ომის დროს არის გამოცემული“**

***– დღეს მთავარი პრობლემა რა არის ტექნიკურ უნივერსიტეტში, ის, რომ არჩილ ფრანგიშვილი მესამე ვადით იქნა არჩეული თუ ძირეული პრობლემებიც არსებობს?***

– ყველაფერი ერთად. სტუდენტი აუდიტორიაში აღარ შედის იმის გამო, რომ მას იქ ვერ ხვდება შესაბამისი გარემო. წიგნები, რომლებითაც ასწავლიან, მეორე მსოფლიო ომის დროს არის გამოცემული. სტენდები გვაქვს, რომლებიც 40 წლის წინანდელია. რაღაც პოტიომკინის სოფლები აქვთ რამდენიმე ადგილზე აშენებული და იმით ტრაბახობენ.

მსოფლიოს 6 ათას უნივერსიტეტში ჩვენი ტექნიკური უნივერსიტეტი საერთოდ არ ფიგურირებს, ფრანგიშვილი კი ამბობს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტია ევროპაშიო. ფრანგიშვილს, როგორც პიროვნებას, კი არ ვებრძვი, უბრალოდ არ შეიძლება ერთი და იგივე პიროვნება მართავდეს დაუსრულებლად, ვადები იმიტომ არსებობს, რომ ის უნდა დავიცვათ. ახალი მმართველობაა საჭირო, რომ ეშველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

***– თქვენ მშრალ შიმშილობაზე ხართ, როდემდე გააგრძელებთ პროტესტს?***

– მე არ მყავს ჯარი, მე არ მყავს პოლიცია და არც ზონდერები, ჩემი პროტესტი ეს არის, მართალია უკიდურესი ფორმით გამოხატული, ვინაიდან მშრალ შიმშილობაზე გადავედი, მაგრამ ჩემი სულის სიმტკიცე და სიმართლე არის დღეს ჩემი იარაღი და მის გამოყენებას ბოლომდე ვაპირებ. ფრანგიშვილი უნდა გადადგეს.

***– განათლების სისტემის რეფორმას ეთანხმებით?***

– არათუ ვეთანხმები, სასწრაფოდ უნდა დაიწყოს. მე ვიცნობ გია დვალის მოდელს, არ ვიცი, უახლოეს 10 წელიწადში როგორ მოხერხდება მისი დანერგვა, მაგრამ აქეთკენ სწრაფი ნაბიჯები უნდა გადავდგათ.

***– ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები შეიკრიბნენ და დადგენილება მიიღეს.***

– ეს იყო საშინელება, ამაზრზენი ფაქტი. საბჭოთა დრო დამიდგა თვალწინ, როგორც ჩანს, ყველას შენახული აქვს პარტიის ბილეთი. ამ დადგენილებაში პირადად ჩემზე წერია, ტყვიას ნუ ესვრით, თავისით მოკვდება მშრალ შიმშილობაზეაო. სხვებზე კიდევ სხვა ჩანაწერებია.

◆ ◆ ◆

„ახალი თაობა“ სხვა მოშიმშილესაც ესაუბრა.

**ნოდარ უღრელიძე, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი:**

– პირადად რექტორის მხრიდან იყო შეურაცხყოფა. ჩვენ 5 ადამიანი ვშიმშილობთ და ყველამ იცის, რომ ქუჩიდან მოსულები არ ვართ. ეს იყო მძიმედ გადასადგმელი ნაბიჯი, მაგრამ სხვა გზა უბრალოდ არ დაგვრჩა. ჩვენ აქ არ ვთამაშობთ.

რექტორმა თქვა, მოშიმშილეები ჩუმად იღებენ საკვებსო. ორი მოშიმშილე პროფესორის მდგომარეობა მძიმეა, ვინმეს რამე რომ დაემართოს, მერე როგორი იქნება მათი განცხადება?! ჩვენ ვითხოვთ დამტკიცებას, რომ რომელიმე ჩვენგანმა, ვინც ვშიმშილობთ, საკვები მართლაც მივიღეთ ან მოვიდეს და აღიაროს შეცდომა ფრანგიშვილმა.

ჩვენც მზად ვართ, მშრალ შიმშილობაზე გადავიდეთ, რადგან სხვა გზას არ გვიტოვებენ. მე ახლა არ მომითხოვია, ჯერ კიდევ 2012 წელს მოვითხოვე ფრანგიშვილის გადადგომა, მომლაპარაკებლები მოდიან და გვეუბნებიან, ყველაფრისთვის ვართ მზად, ოღონდ ფრანგიშვილის გადადგომას ნუ ითხოვთო.

◆ ◆ ◆

ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, რექტორობის ყოფილი კანდიდატი **გოდერძი ტყეშელაშვილი** არ შიმშილობს, მაგრამ ეთანხმება მოშიმშილეებს, რადგან მათი მოთხოვნები გამართლებულად მიაჩნია.

– რექტორი ვალდებულია, მოვიდეს ამ ადამიანებთან და პირადად დაელაპარაკოს. იძულებულები გავხდით, რომ ამერიკის საელჩოსთვის მიგვემართა. ამერიკის ელჩს გადავეცით ჩვენი მიმართვა. სხვა დიპლომატიური უწყებებიც იქნებიან ინფორმირებულები და გადაეცემათ ჩვენი მიმართვა, – გვითხრა გოდერძი ტყეშელაშვილმა.

◆ ◆ ◆

„ახალი თაობა“ ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ **ქეთი ქოქრაშვილსაც** ესაუბრა.

***– აქციის მონაწილეები ითხოვენ ფინანსური და სასწავლო-პროგრამული აუდიტის ჩატარებას.***



– ფინანსური აუდიტის ჩასატარებლად ყოველწლიურად ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს ტენდერს. დამოუკიდებელი, კერძო აუდიტი შემოდის და ამოწმებს ფინანსურ მდგომარეობას, – გვითხრა ქეთი ქოქრაშვილმა.

მისი თქმით, 2015 წლის ნოემბრის ჩათვლით ფინანსური აუდიტი ჩატარებულია და შესაბამისი დასკვნაც არსებობს.

– ამდენად, ჩვენი უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობა ყოველწლიურად მოწმდება. რაც შეეხება პროგრამულ აუდიტს, ესეც არის გეგმიური აუდიტი და ის მიმდინარეობს უნივერსიტეტში, – განაცხადა ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6

☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ტუროპერატორები ჩეკ ინ ჯორჯიას პროექტის დაწყებას დაგვიანებულად მიიჩნევენ

ტუროპერატორების ნაწილი ჩეკ ინ ჯორჯიას პროექტს დაგვიანებულად მიიჩნევს.

სახელმწიფო პროექტი, რომლის ფარგლებშიც მთელი ტურისტული სეზონის განმავლობაში საქართველოში უმაღლესი კლასის არტისტები ჩამოვლენ, რამდენიმე კვირის წინ დაანონსდა. ტუროპერატორების ნაწილის ინფორმაციით, ტურისტული სეზონის გამო სასტუმროები უკვე დაჯავშნილია, სპეციალურად კონცერტებისთვის კი ახალი ჯავშნების გაკეთება ველარ ხერხდება. შემომყვან ტუროპერატორთა ასოციაციის ხელმძღვანელი ია თაბაგარი „კომერსანტთან" აცხადებს, რომ კონცერტები უნდა დაანონსებულიყო იმ პერიოდისთვის, როდესაც საგზურების გაყიდვა იწყება. მისი თქმით, ეს ყველაფერი თვეების წინ, სექტემბერში რომ ყოფილიყო ცნობილი, ბევრად შედეგიანი იქნებოდა.




– დაანონსება 2015 წლის აგვისტო-სექტემბერში უნდა მომხდარიყო. ამ დროს იწყება საქართველოს წარდგენა ტურისტულ გამოფენებზე. შეიძლება ხალხი მაინცდამაინც კონცერტზე არ ჩამოსულიყო, მაგრამ ტურებში მოხდებოდა ამ ღონისძიებების შეტანა, – აცხადებს ია თაბაგარი და აღნიშნავს, რომ დაანონსება იქამდე უნდა მომხდარიყო, სანამ კატალოგები დაიბეჭდებოდა.

რაც შეეხება ტურისტების გააქტიურებას, ასოციაციის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ აპრილიდან ტურისტული სეზონი ისედაც აქტიურდება, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც რუსეთში ე.წ. მაისის არდადეგები იწყება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ია თაბაგარი ამბობს, რომ ძნელი იქნება იმის გარკვევა, ჩამოვიდნენ თუ არა ტურისტები მაინცდამაინც ჩეკ ინ ჯორჯიას ფარგლებში.

– სასტუმროებში არსებობს ჯავშნები ამ პერიოდისთვის, მაგრამ ეს ისედაც ასეა ხოლმე ყოველ წელს. ხანდახან ამ პერიოდისთვის ოთახების დეფიციტიც კი ფიქსირდება. საერთოდ, ბევრი კითხვა ჩნდება. ხომ არ ჯობდა, რომ ეს თანხები სახელმწიფოს გამოეყენებინა კონკრეტული ბაზრებისთვის? მაგალითად, გერმანიის ბაზრის მეტად ასათვისებლად, რომელიც ერთჯერადი არ იქნებოდა, – აცხადებს ია თაბაგარი.

პროექტს დაგვიანებულად მიიჩნევენ კომპანია ჯორჯიან თრეველ გრუპშიც.

როგორც „კომერსანტს" კომპანიაში განუცხადეს, თითქმის ყველა სასტუმრო ამ პერიოდისთვის დაჯავშნილია, შესაბამისად, ახლი შეკვეთების მიღება თითქმის ვერ ხერხდება.

– ძალიან გვიან გამოცხადდა ეს ყველაფერი, ამიტომ გვიჭირს სასტუმროების დაჯავშნა. ამ ეტაპზე სასტუმროების დაჯავშნა ძალიან რთულია, რადგან დაჯავშნილია ყველაფერი, არა ტურისტული კომპანიების, არამედ ცალკეული პირების მხრიდან. ეს რომ ადრე ყოფილიყო ცნობილი, უფრო ადვილი იქნებოდა, – აცხადებენ კომპანიაში.

მათივე ინფორმაციით, განსაკუთრებული მოთხოვნა ტურისტების მხრიდან ამ ღონისძიებებზე არ ფიქსირდება და ეს პერიოდი ისედაც ტურისტულად დატვირთულია.

– განსაკუთრებული მოთხოვნა არ ფიქსირდება. ვინც მოდიოდა ივნისში ბათუმში და კონკრეტული თარიღი არ ჰქონდა გადაწყვეტილი, ახლა უბრალოდ შეიძლება დაამთხვიოს ამ თარიღს, – აცხადებენ კომპანიაში.

**სალომე მეცხვარიშვილი.**
**კომერსანტ.გე**

# ბათუმში წლევანდელ სეზონზე ფასები შესაძლოა გასამმაგდეს

საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის ხელმძღვანელი წლევანდელ სეზონზე ბათუმში ტურისტების ბუმს ელოდება. თუმცა, ოსმან ჩალიშქანი ეჭვქვეშ აყენებს საკითხს, რამდენად არის მზად აჭარა ტურისტების მისაღებად და მათ დასაკმაყოფილებლად.

მისი თქმით, წელს 2 რამის ეშინია – მომსახურების დაბალი ხარისხისა და გასამმაგებული ფასების.

ჩალიშქანი ამბობს, რომ ამ მიზეზების გამო ტურისტები მომდევნო წელს, უბრალოდ, აღარ ჩამოვლენ და სხვა მიმართულებას აირჩევენ.



ჩალიშქანი წლევანდელ ზაფხულში რუსი ტურისტების მოზღვავებას ელოდება.

– არ უნდა გასამმაგდეს ფასები. მე მესმის მოსახლეობის, რომ სეზონი სულ 2 თვეა და ამ თანხით მათ მთელი ზამთარი უნდა არჩინონ ოჯახები. მაგრამ თუ ფასი იქნება სამმაგი, ის ადამიანები მეორე წელს აღარ ჩამოვლენ, – აცხადებს ოსმან ჩალიშქანი.

ასოციაციის ხელმძღვანელის თქმით, მწვავედ დგას მომსახურების დაბალი ხარისხის პრობლემა. სწორედ ამ პრობლემის გადაჭრის მიზნით ბათუმში სასტუმრო-კოლეჯის გახსნა იგეგმება, რომელიც მომსახურების სფეროს წარმომადგენლებს გადაამზადებს და მათ კვალიფიკაციას აუმაღლებს.

– დიდი პრობლემა გვაქვს მომსახურების დონის და კვალიფიკაციის მიმართულებით. ჩვენი ასოციაცია იმაზე მუშაობს, რომ ბათუმში გავხსნათ, სასტუმრო-კოლეჯი, რომ კვალიფიკაცია ავამაღლოთ მომსახურების სფეროში ანუ ეს იქნება თან სასტუმრო, თან სასწავლო ცენტრი, – აცხადებს ოსმან ჩალიშქანი.

◆ ◆ ◆

რამდენიმე დღის წინ ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ტურიზმის სექტორში მომუშავე კომპანიებს ფასების დაწესებისას სიფრთხილისკენ მოუწოდა.

– მეზობლად გვყავს არაერთი კონკურენტი ქვეყანა. ფასისა და სერვისის შესაბამისობა არის ძალიან მნიშვნელოვანი იმისთვის, რომ არ დავკარგოთ ტურისტები. ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ასევე არაერთ ავიაკომპანიასთან, რომ რაც შეიძლება მეტი სტუმარი შემოვიყვანოთ და რაც შეიძლება იაფი ღირდეს ბილეთი, – განაცხადა ვიცეპრემიერმა.

ქუმსიშვილი წელს ტურიზმიდან შემოსავლების ზრდას ელის.

2015 წელს ქვეყანამ 1,9 მლრდ აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო ამ სექტორიდან. წლიური ზრდა 148 მილიონი იყო.

**სალომე მეცხვარიშვილი,**
**კომერსანტ.გე**

# ლარი კვლავ გამყარდა

1 ამერიკული დოლარის ოფიციალური ღირებულება 2.2340 ლარი გახდა.

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მცირედით ისევ გამყარდა. კერძოდ, დღეიდან 1 დოლარის ოფიციალური ფასი 2.2340 ლარი გახდება.

კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2.2423 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0.0083 ლარი შეადგინა.



ეროვნული ვალუტის კურსი ევროს მიმართაც გამყარდა.

კერძოდ, დღეიდან, 21 აპრილიდან, 1 ევროს შეძენა 2.5392 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა გუშინ მოქმედი კურსი 2.5408 ლარს შეადგენდა.

შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროს მიმართ 0.0016 ლარი შეადგინა.

# ჰიბრიდული ავტომობილები გაიაფდება



ჰიბრიდი მის ანალოგ შიდაწვის ძრავის მქონე ავტომობილზე საშუალოდ 1.500 დოლარით მეტი ღირს. თუმცა უახლოეს ხანებში ეს სხვაობა შემცირდება.

1 მაისიდან ჰიბრიდული ძრავის მქონე 0-დან 6 წლამდე ავტომობილებზე აქციზის გადასახადი განახევრდება, რაც ავტომობილის საბოლოო ღირებულებას შეამცირებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში საქართველოში ჰიბრიდულ ავტომობილებზე მოთხოვნა გაიზარდა, მათი რაოდენობა მთლიან ავტოპარკში რამდენიმე პროცენტს არ აჭარბებს. იმპორტიორები ფიქრობენ, რომ აქციზის განახევრება ჰიბრიდულ ავტომობილებზე მოთხოვნას გაზრდის.

სპეციალისტები კი მიიჩნევენ, რომ ავტოპარკის გასანახლებლად და ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დამატებითი საგადასახადო შეღავათები და ინიციატივებია საჭირო.

ბოლო მონაცემებით, ქვეყანაში რეგისტრირებული ავტომობილების რაოდენობამ მილიონ ასი ათასს მიაღწია, რომელთა უმეტესობა 2004 წლამდეა წარმოებული.

**ნუცა შუბაშვილი, ბიპიენი**

# გარდაბანში მზის ენერგიის პოტენციალს ამერიკული კომპანია შეისწავლის

გარდაბნის მუნიციპალიტეტში მზის ენერგიის პოტენციალს 12 თვის განმავლობაში ამერიკული კომპანია ჰედუოლ პაუერი შეისწავლის.

გუშინ, 20 აპრილს, ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ და კომპანიის პრეზიდენტმა ბრედფორდ მეიკლმა გარდაბნის მუნიციპალიტეტში მზის ენერგიის პოტენციალის შესასწავლად ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი.

– საქართველოს მოსახლეობას წლების განმავლობაში ჰქონდა ენერგოპრობლემები, დამოუკიდებელი საქართველო არასდროს ყოფილა ენერგოდამოუკიდებელი და დროა, ჩვენი ქვეყნის ენერგეტიკაში მოხდეს რევოლუციური გარდატეხა.

მზე, ქარი, წყალი – ეს არის ის რესურსები, რაც შეგვიძლია სრულად ავითვისოთ და მაღალგანვითარებული, უსაფრთხო და, რაც მთავარია, დამოუკიდებელი ენერგომომავალი დავახვედროთ ჩვენს შთამომავლობას, – განაცხადა კახა კალაძემ.

მემორანდუმის თანახმად, ამერიკული კომპანია პარტნიორ მზის ენერგიის კომპანიასთან ერთად გარდაბნის მუნიციპალიტეტში, ქალაქ გარდაბნისა და სოფელ კალინინოს ტერიტორიაზე მზის პოტენციალს 12 თვის განმავლობაში შეისწავლის.

კონკრეტულად, შეისწავლის ელექტროსადგურის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ საკითხებს – შემდგომში მისი მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების მიზნით.



ინვესტორი 12 თვის განმავლობაში გარდაბნის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩაატარებს ტექნიკურ-ეკონომიკურ კვლევას და საჯარო განხილვებს, მოამზადებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და ელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ შესაბამის წინადადებას წარუდგენს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს.

**ბიპიენი**

# დავით სერგეენკო: „პრობლემაა დაგვიანებული მიმართვა ექიმთან, მედიკამენტების მაღალი ფასი და მკურნალობის ხარისხი"

ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, პირველადი ჯანდაცვის რეფორმა ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. როგორც მინისტრმა პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე განმარტა, იდეალურ შემთხვევაში, პაციენტმა სამედიცინო საჭიროებებისთვის თავდაპირველად პირველადი ჯანდაცვის რგოლს (ოჯახის ექიმი, პედიატრი, თერაპევტი) უნდა მიმართოს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დაავადების პრევენცია ვერ ხერხდება – ჰოსპიტალურ მკურნალობას.

**დავით სერგეენკო:**

– ჩვენს შემთხვევაში, ეს პირუკუა და შეიძლება, 80%-ზე მეტადაც პაციენტები უკვე გართულებული დაავადებით მიდიან ექიმთან. ეს არის ერთ-ერთი საკვანძო საკითხი, რასაც ჰქვია პირველადი ჯანდაცვის რეფორმის განხორციელება, რა მიმართულებებითაც პირველი ნაბიჯების გადადგმა, სამწუხაროდ, დაგვიგვიანდა და დავიწყეთ შარშან ზაფხულში, თუმცა ეს არის ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი.



ჯანდაცვის სისტემაში არსებულ პრობლემებზე საუბრისას, დავით სერგეენკომ აღნიშნა, რომ პრობლემაა დაგვიანებული მიმართვა ექიმთან, მედიკამენტების მაღალი ფასი და მკურნალობის ხარისხი.

როგორც მინისტრმა განაცხადა, ამ პრობლემების გადაჭრას ემსახურება პირველადი ჯანდაცვის რეფორმა და სამედიცინო მოვლის ხარისხის კონტროლის ელემენტების დანერგვა.

**ინტერპრესნიუსი**

# ირაკლი აბესაძე: „სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის განკუთვნილი ვაუჩერი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გაუქმდება"

თბილისის საკრებულოს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის ირაკლი აბესაძის განცხადებით, სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის განკუთვნილი ვაუჩერი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გაუქმდება.

თბილისის საკრებულოს ფრაქციის ნაციონალური მოძრაობა–თბილისი თავმჯდომარემ ირაკლი აბესაძემ გუშინ ბრიფინგი გამართა და სოციალურად დაუცველი მოქალაქეთათვის განკუთვნილ კომუნალურ ვაუჩერზე ისაუბრა.

**ირაკლი აბესაძე:**

– კომუნალური ვაუჩერი, რომელიც ჩვენ დროს იყო შემოღებული, დენის ტარიფის ზრდის მიუხედავად, აბსოლუტურად გაუქმებულია. ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ ოქტომბერი აინტერესებს „ქართულ ოცნებას", არჩევნების შემდეგ მათთვის მნიშვნელოვანი არ არის ქალაქში რა მოხდება.

არჩევნების შემდეგ თუნდაც ქვაქვაზე არ დარჩენილა. სწორედ ამ პრინციპს ამართლებს ბოლო პერიოდში განხორციელებული ცვლილებები, როდესაც 700 ათასით გაიზარდა მერის რეკლამირებისთვის გამოყოფილი ხარჯი, როდესაც დაახლოებით 700 ათასით გაიზარდა მერის სარეზერვო ფონდი. ცენტრალურ დონეზე ჩვენ ვხედავთ, რომ 26 მლნ ლარი იხარჯება კონცერტებზე, ანუ ის ფული, რომელიც სოციალურად დაუცველებს უნდა მოხმარებოდა, კონცერტებში და რეკლამებში იხარჯება.

საკრებულოში აბესაძის განცხადებას საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ჯაბა სამუშია გამოეხმაურა. სამუშიამ აბესაძის განცხადება სიცრუე და მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის მცდელობა უწოდა.

– ეს განკარგულება გულისხმობდა იმას, რომ გადავდიოდით ახალ რეალობაში და ვაუჩერის გაცემის ახალ ფორმაში. თბილისის მერიაში იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელმაც საბოლოოდ უნდა განსაზღვროს რა ფორმით, როგორ მოხდება ვაუჩერის გაცემა, – აღნიშნა სამუშიამ.

თბილისის მერიამ კომუნალური ვაუჩერის გაცემის წესში განსახორციელებელი ცვლილება 2 მარტს გამოსცა.

**ინტერპრესნიუსი**

# „ნეზავისიმაია გაზეტა“: „რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობებში უნდა ჩამოყალიბდეს“

რუსული გამოცემა „ნეზავისიმაია გაზეტა“ აქვეყნებს მოსკოვის მ.ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო პოლიტიკის კათედრის დოცენტის ალექსეი ფანენკოს სტატიას, რომელიც საქართველო-რუსეთის ურთიერთობას ეხება.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ სტატიის ქართულენოვან ვერსიას:

ამ გაზაფხულზე მოსკოვსა და ცხინვალს შორის ურთიერთობებში ახალი დღის წესრიგი გაჩნდა: ჯერ კიდევ 21 მარტს სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა გაზეთ „კომერსანტ“-ისადმი ინტერვიუში განაცხადა, რომ „სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა რუსეთის შემადგენლობაში შესვლას ელოდება“ და რომ ამ მიზნით რეფერენდუმის ჩატარება გვაქვს დაგეგმილიო, მოგვიანებით კი, 4 აპრილს, აღნიშნა, რომ განზრახული აქვს რუსეთის პრეზიდენტ მიმართოს თხოვნით ერთობლივი სამოკავშირეო ორგანოს შექმნის თაობაზე, „რომელსაც ჩვენს სუვერენულ უფლებამოსილებას გადავცემთო. და ბოლოს, 11 აპრილს ლეონიდ თიბილოვმა მეტ-ნაკლებად დააზუსტა რუსეთის შემადგენლობაში შესვლის საკითხზე რეფერენდუმის ჩატარების დრო – 2016 წლის აგვისტომდე.

ცხინვალიდან გავრცელებულმა სიგნალებმა თბილისის ნეგატიური რეაქცია გამოიწვია: 12 აპრილს ევროპული და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრმა დავით ბაქრაძემ განაცხადა, რომ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ დაგეგმილ რეფერენდუმს არავითარი იურიდიული ძალა არ ექნება, შემდეგ ანალოგიურად მოიქცა სამოქალაქო თანასწორობისა და შერიგების სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ქეთევან ციხელაშვილიც. პრინციპში, რაიმე მოულოდნელი არაფერი მომხდარა, ყველაფერი ეს პროგნოზირებადი იყო. საინტერესო სხვა რაღაცაა: ქეთევან ციხელაშვილმა გაიხსენა და დაიმოწმა სამხრეთ ოსეთის როგორც „ოკუპირებული ტერიტორიის“ სტატუსი და ის გარემოება, რომ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული არ არის. არადა, ბოლო წლებში საქართველოს ხელისუფლება ამ ფაქტორებზე აქცენტს მაინცდამაინც არ აკეთებდა.

კაცმა რომ თქვას, სამხრეთ ოსეთში რუსეთთან მიერთების საკითხზე რეფერენდუმის ჩატარება ძნელი სულაც არ არის და ეს ამოცანა რეალიზებადია. დიდი-დიდი, ყველაზე უარეს შემთხვევაში დასავლეთმა – აშშ-მა და ევროკავშირმა შეიძლება რუსეთს კიდევ რაღაც დამატებითი სანქცია დაუწესოს, რასაც მოსკოვი უმტკივნეულოდ გადაიტანს. პრობლემას უფრო ღრმად უნდა შევხედოთ: რეფერენდუმის ჩატარება ნიშნავს, რომ ამით შეწყდება მცდელობები რუსეთსა და საქართველოს შორის დიალოგის დაწყების მიზნით, ანუ ის, რასაც მოსკოვი გასული ოთხი წლის განმავლობაში ახორციელებდა.

2008 წლის „ხუთდღიანი ომის“ შემდეგ რუსულ-ქართული ურთიერთობები მტრული რჩებოდა. ეუთოს მცდელობები ჟენევაში არაღიარებულ რესპუბლიკებსა და საქართველოს შორის მოლაპარაკების დაწყების მიზნით, უშედეგო აღმოჩნდა: 2010 წლის ივნისში თბილისმა უარი განაცხადა ხელი მოეწერა იმ შეთანხმებაზე, რომელიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ ძალის არგამოყენებას ითვალისწინებდა. მაგრამ ეს იყო „ერთიანი ნაცმოძრაობის“ მმართველობის დროს. 2012 წლის პირველ ოქტომბერს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა ბიძინა ივანიშვილის ბლოკმა, რომელიც რუსეთთან დიალოგის აღდგენის დაპირებით გამოდიოდა. მართლაც, 2012 წლის



დეკემბერში დაიწყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეცწარმომადგენლის ზურაბ აბაშიძისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის შეხვედრები, რომელიც მოგვიანებით „აბაშიძე-კარასინის“ ფორმატი ეწოდა. შეხვედრების იდეას წარმოადგენდა რუსულ-ქართული დიალოგის ისე წარმართვა, რომლის დროსაც განხილული არ იქნებოდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის პრობლემა, იმავდროულად კი გადაწყდებოდა რიგი ეკონომიკური და ჰუმანიტარული ხასიათის საკითხები.

თბილისსა და მოსკოვს შორის დიალოგის აღდგენა, რომელიც ქართველების თხოვნითა და ინიციატივით დაიწყო, პრინციპში, რუსეთსაც აწყობდა. თუ იმ პერიოდს გავიხსენებთ (2012 წლის ზაფხულს), რუსეთმა პოსტსაბჭოთა ქვეყნების ეკონომიკურ ინტეგრირებაში ერთგვარი მარცხი განიცადა – მოსკოვმა ვერ შეძლო ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში უკრაინის, უზბეკეთისა და აზერბაიჯანის შეყვანა, ამ ფონზე კი თბილისთან დაწყებული მოლაპარაკებები საგარეო პოლიტიკურ წარმატებად წარმოჩნდა.

საქართველოსთან მიმართებით რუსულ ელიტაში პირობითად სამი პარტია (რომელშიც პოლიტიკური პოზიციის მქონე ჯგუფები იგულისხმება) ჩამოყალიბდა: „მინიმალისტები“ დიალოგში ხედავდნენ იმ საშუალებას, რომლის მეშვეობითაც თავიდან იქნებოდა აცილებული თბილისში ნაციონალისტური ლიდერის გამოჩენის შესაძლებლობა; „ცენტრისტების“ აზრით, რუსეთთან დიალოგის წარმართვით საქართველო დასავლეთთან მეტ-ნაკლებად ნეიტრალურ პოლიტიკას გაატარებდა და თავის ტერიტორიაზე ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურას არ დაუშვებდა; „მაქსიმალისტები“ კი საქართველოს მომავალს რუსეთისაკენ შემობრუნებაში ხედავდნენ და (რა იცი, რა მოხდება?) ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში მის თანდათანობით ინტეგრირებას წინასწარმეტყველებდნენ.

საქართველოს საგარეო პოლიტიკაშიც ისეთი სტრატეგიული ხაზი დომინირებდა, რომელიც რუსეთთან პრაგმატული დიალოგის გატარებას გულისხმობდა. რუსეთისაკენ თბილისის შემობრუნების მთავარ მიზეზად ეკონომიკური ინტერესი რჩებოდა. მართალია, საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა ასოცირების შეთანხმებას, მაგრამ აშკარაა, რომ ეს დოკუმენტი სრული სახით მაინც დიდი ხნის განმავლობაში ვერ ამოქმედდება – გეოგრაფიულად მხარეები ერთმანეთისაგან საკმაო მანძილით არიან დაშორებულნი და მათ საერთო საზღვარი არ აქვთ, რუსეთის ბაზარი და ტრანზიტი კი საქართველოსთვის ისევ პრიორიტეტულია. ცხადია, რუსეთთან დიალოგის აღდგენამ საქართველოს საგრძნობი დივიდენდები მოუტანა: 2013 წელს ქართული ღვინო რუსულ ბაზარზე ტრიუმფით დაბრუნდა, 2015 წლის დეკემბერში კი რუსეთმა მნიშვნელოვნად შეარბილა 2000 წელს დაწესებული მკაცრი სავიზო რეჟიმი საქართველოს მოქალაქეების მიმართ. კიდევ უფრო ადრე განახლდა პირდაპირი ავიამიმოსვლა ქვეყნებს შორის...

თუმცა ეს ყველაფერი საქართველოსა და რუსეთს შორის გაწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობის ფონზე ხდებოდა. პოლიტიკური კავშირები კვლავ „გაყინული“ იყო, უფრო მეტიც – საქართველომ ძალზე უარყოფითი რეაგირება მოახდინა რუსეთის მიერ აფხაზეთთან (2014 წელს) და სამხრეთ ოსეთთან (2015 წელს) დადებულ სამოკავშირეო ხელშეკრულებებზე. ეს ფაქტები ძალიან მწვავედ და უარყოფითად შეფასდა თბილისში ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის ვიზიტის დროსაც (2015 წლის 26 აგვისტოს). სწორედ მაშინ იქნა გახსნილი თბილისთან ახლოს, კრწანისში, ნატოს ახალი სასწავლო ცენტრი, ხოლო ალიანსის გენმდივანმა საქართველოსთან სამხედრო თანამშრომლობისა და პარტნიორობის გაღრმავებაზე ისაუბრა. ამის საპასუხოდ მოსკოვმა დროებით შეაჩერა „აბაშიძე-კარასინის“ დიალოგის ფორმატი. მართალია, შემდგომში შეხვედრები განახლდა, თუმცა მოლაპარაკების პროცესი უფრო მძიმედ მიმდინარეობდა. ამრიგად, მოცემული ფონის გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამხრეთ ოსეთის რუსეთთან მიერთება ქართულ-რუსული დიალოგის სრულ ლიკვიდაციას მოახდენს: საქართველო-რუსეთის ურთიერთობა 2008 წლის მტრულ პერიოდს დაუბრუნდება.

ვთვლით თუ არა ჩვენ ამ ფასს მისაღებად – ეს საკითხი ღიად რჩება, მაგრამ რუსეთს განსაზღვრული დანაკარგებისათვის მომზადება მოუწევს:

პირველი – საეჭვოა, რომ საქართველომ დემილიტარიზებული სტატუსი შეინარჩუნოს. მართალია, მას ნატოში არავინ მიიღებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სადავო პრობლემის გამო, მაგრამ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლია საქართველოს „ნატოს გარეშე საკვანძო მოკავშირის“ სტატუსი მიანიჭოს. ალბათ, საქართველოს ტერიტორიაზე ნატოს სამხედრო კონტინგენტის სამომავლო დისლოცირებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა გაჩნდება;

მეორე – საქართველოს სრული შესაძლებლობა აქვს ბარიერები შექმნას რუსეთ-სომხეთის სატრანსპორტო კავშირების სფეროში. ფაქტია, რომ დღეს რუსეთისა და სომხეთის ერთმანეთთან დამაკავშირებელი ერთადერთი გზა საქართველოს ტერიტორიაზე გადის;

მესამე – საყურადღებოა, რომ საქართველო თურქეთთან ურთიერთმოქმედების მიზნით მიმდინარე წლის თებერვლიდან საკონსულტაციო შეხვედრებს მართავს. ჯერჯერობით თბილისი ფრთხილად მოქმედებს, მაგრამ რუსეთთან დამოკიდებულების მკვეთრი გაუარესების შემთხვევაში, საქართველო შეიძლება უკვე გამოკვეთილი კონტურების მქონე თურქეთ-უკრაინის ალიანსს შეუერთდეს. ასეთ შემთხვევაში „სუამ“-ის ბლოკის აღდგენასაც სრულიად რეალური პერსპექტივა აქვს;

მეოთხე – რუსეთისათვის არასასიამოვნო იქნება იმიჯის დაკარგვაც. ამჟამად არსებული „ევრაზიული ეკონომიკური კავშირი“ 2002 წლის დროინდელი „ევრაზიული ეკონომიკური გაერთიანების“ განახლებული მოდიფიკაციაა. არადა, 2011 წლის შემოდგომაზე ვლადიმირ პუტინს უფრო ფართო გაერთიანების შექმნა ჰქონდა განზრახული. დღეს-დღეობით, რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური დიალოგი „ევრაზიული თანამეგობრობის“ ფარგლებს გარეთ არსებულ ყველაზე უფრო წარმატებულ პროექტს წარმოადგენს. თუ საქართველოსთან „თამაში“ დასრულდება, ეს ნიშნავს, რომ მოსკოვს „ევრაზიული ინტეგრაციული სივრცის“ გარეთ ეკონომიკური ყოფნის პერსპექტივა აღარ ექნება.

რასაკვირველია, იმის თქმა არ გვსურს, რომ სამხრეთ ოსეთის რუსეთთან მიერთების რეფერენდუმის ჩატარება საჭირო არ არის, მაგრამ ყურადღება უნდა მივაქციოთ სხვა, უფრო ღრმა პრობლემას: ვთვლით თუ არა საქართველოს საბოლოოდ დაკარგულად რუსეთისა და რუსული სამყაროსათვის? თუ ასე ვთვლით, მაშინ რეფერენდუმი მართლაც უნდა ჩატარდეს და მტრულ სახელმწიფოსთან – საქართველოსთან არსებული საზღვარი კარგად უნდა გავამაგროთ; თუ ასე არ ვთვლით, მაშინ უნდა ვიფიქროთ საქართველოსთან დიალოგის გაფართოების სტრატეგიაზე, პარალელურად კი აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთთან კავშირები უნდა შევინარჩუნოთ.

**ნიუსპრესი**

# „კავკაზსკიი უზელ“: „რუსეთი სამხრეთ ოსეთის შეერთებას არ აპირებს“

Кавказский
Узел

როგორც ცნობილია, 2016 წლის 15 აპრილს რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ რუსეთ-სამხრეთ ოსეთის სასაზღვრო შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა, რომელიც მოსკოვმა და ცხინვალმა ჯერ კიდევ 2015 წლის 18 თებერვალს გააფორმეს.

რუსული ინტერნეტპორტალის „კავკაზსკიი უზელ“-ის ინფორმაციით, როგორც რუსი ექსპერტები აცხადებენ, სასაზღვრო შეთანხმების რატიფიცირება მკაფიო სიგნალია იმისა, რომ რუსეთი სამხრეთ ოსეთს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ხედავს და მის მიერთებას არ გეგმავს.

ანალიტიკური ბიურო „შორიდან და სარწმუნოდ“ ხელმძღვანელის ანდრეი ეპიფანცევის თქმით, ზემოხსენებული შეთანხმების რატიფიცირება იმ ფონზე, როცა სულ უფრო ძლიერდება ლაპარაკი რეფერენდუმის შესახებ, იმის ნიშანია, რომ რუსეთი სამხრეთ ოსეთს სუვერენულ სახელმწიფოდ აღიქვამს, რომელთანაც საზღვარი იურიდიულად უნდა იყოს გაფორმებული.

– ეს უკვე მეორე სიგნალია, რომელსაც დიპლომატიურ-ადმინისტრაციულ ენაზე სხვაგვარად ვერ გაიაზრებ. პირველი სიგნალი კი თვითონ რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის განცხადება იყო ყოველწლიური „პირდაპირი ხაზის“ დროს, 14 აპრილს, როცა მან თქვა – რუსეთი თავის შემადგენლობაში სამხრეთ ოსეთის მიღებას არ განიხილავს, ამ თემაზე ლეონიდ თიბილოვთან შეხვედრის დროს არ გვიმსჯელიაო. ეს ნიშნავს, რომ რუსეთი მიერთების შესაძლებლობაზე არ ფიქრობს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ოსები რეფერენდუმის დროს რუსეთთან მიერთების სურვილს გამოავლენენ, – განაცხადა ანდრეი ეპიფანცევმა.

რუსეთის სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტის დოცენტის, ექსპერტ სერგეი მარკედონოვის აზრით, „თუ ვლადიმირ პუტინის ნათქვამს გავითვალისწინებთ, სახელმწიფო სათათბიროს გადაწყვეტილება რუსეთ-სამხრეთ ოსეთის სასაზღვრო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე მოულოდნელი არ ყოფილა. რუსეთის პრეზიდენტის პოზიციაა – „პოჟივიომ-უვიდიმ“ („დაველოდოთ და ვნახოთ“). ჰოდა, ეს „პოჟივიომ-უვიდიმ“-ის პოლიტიკა საზღვრის საკითხშიც რეალიზდება. რუსეთი, ალბათ, დროდადრო რეფერენდუმის თემას ამოსწევს ხოლმე და მის ფრიალს დაიწყებს, მაგრამ რეალურად ამ კოზირს მოსკოვი მხოლოდ ექსტრაორდინალურ შემთხვევებში გამოიყენებს, ვთქვათ, თუ საქართველოს ნატოში პირდაპირ მიიღებენ ან მისი მიღების საკითხს დააჩქარებენ“

**ნიუსპრესი**

# გაეროს გენერალური მდივანი საქართველოს მიმდინარე კვირას ეწვევა



გაეროს გენერალური მდივანი პან გი მუნი საქართველოს მიმდინარე კვირას ეწვევა. პან გი მუნის ვიზიტთან დაკავშირებით ოფიციალურ ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, გაერო-ს გენერალური მდივნის საქართველოში ოფიციალური ვიზიტი 23-24 აპრილს შედგება, რის ფარგლებშიც პან გი მუნი საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს შეხვდება.

გენერალური მდივანი ასევე მონაწილეობას მიიღებს პროგრამით გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებებში.

აღსანიშნავია, რომ 1994 წლის შემდეგ ეს იქნება გენერალური მდივნის პირველი ოფიციალური ვიზიტი საქართველოში.

– გაერო-ს გენერალური მდივანი, პან გი მუნი თბილისს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოწვევით ესტუმრება, რის შემდეგაც ვიზიტს სომხეთსა და აზერბაიჯანში განაგრძობს, – აცხადებენ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

**ინტერპრესნიუსი**

# საქართველოში მიწისძვრა მოხდა

გუშინ, 20 აპრილს, საქართველოში 2,3 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. მიწისძვრის ეპიცენტრი თეთრიწყაროდან 14 კილომეტრში, სოფელ გოხნართან დაფიქსირდა.

წინასწარი ინფორმაციით, მიწისძვრას ნგრევა არ მოჰყოლია.

**ინტერპრესნიუსი**

ძვალ-სახსართა პრობლემების:
კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.
☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

## პოლონეთი რუსეთს ბრალს სდებს



პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა მაჩერევიჩმა რუსეთს ევროპის წინააღმდეგ აგრესიის მომზადებაში დასდო ბრალი.

მან განაცხადა, რომ ამერიკულ თვითმფრინავებთან დაკავშირებული უკანასკნელი ინციდენტები შემთხვევით არ მოხდა.

– რუსეთი კუნთებს ათამაშებს, – ამბობს პოლონელი მინისტრი.

პოლონეთის პრეზიდენტმა დუდამ კი ნატოს აღმოსავლეთი ფლანგის გაძლიერებისკენ მოუწოდა. მისი აზრით, ეკონომიკური კრახი აიძულებს პუტინს, აგრესიული საგარეო პოლიტიკა გაატაროს, რაც შესაძლებელია, ევროპასთან ომში გადაიზარდოს.

– რუსეთის აგრესიული მზადებანი უკვე ჩანს და ამას პასუხი უნდა გაეცეს, – ამბობს დუდა.

## რუსეთში იმედგაცრუება იზრდება

ლევადა-ცენტრის კვლევის მიხედვით, რუსეთის მოქალაქეთა 40% თვლის, რომ სახელმწიფო თავის მოვალეობებს არ ასრულებს. ერთი წლის წინ ეს მაჩვენებელი 29%-ს არ აღემატებოდა.

67% მიიჩნევს, რომ სახელმწიფოს წინაშე თავიანთ მოვალეობებს პირნათლად ასრულებს.




რუსეთის მოსახლეობის 54% არსებული ხელისუფლებით უკმაყოფილოა. აქედან 14% მზადაა, საპროტესტო აქციებში მიიღოს მონაწილეობა. გასულ წელს ეს მაჩვენებელი 7%-ს შეადგენდა.

ამრიგად, ორჯერ გაიზარდა მათი რიცხვი, ვინც მზადაა ქუჩაში გამოვიდეს. ხელისუფლებამ ამას ეროვნული გვარდიის შექმნითა და ძალოვანი სტრუქტურების კიდევ უფრო გაძლიერებით უპასუხა.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

## პოროშენკო: „პუტინთან მიღწეულია შეთანხმება სავჩენკოს გათავისუფლებაზე“

რუსეთის პრეზიდენტის გარემოცვაში ამას არ ადასტურებენ

უკრაინის პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომ პუტინთან უკანასკნელ სატელეფონო საუბარში უკრაინელი მფრინავის, ნადეჟდა სავჩენკოს გათავისუფლების საკითხი დასვა. შემდგომში მან განაცხადა, რომ უკვე მიღწეულია შეთანხმება სავჩენკოს გათავისუფლების თაობაზე. უკრაინის პრეზიდენტმა ეს დანიის პრემიერთან შეხვედრის დროსაც გაიმეორა:

– სავჩენკოს გაცვლის თაობაზე შეთანხმება უკვე მიღწეულია, – თქვა პოროშენკომ.

უკრაინის პრეზიდენტი აცხადებს, რომ სავჩენკოს გაცვლიან კიევში დაპატიმრებულ გრუ-ს ოფიცრებზე ეროფეევსა და ალექსანდროვზე. მათ უკრაინულმა სასამართლომ 14 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.



მოსკოვში უარყოფენ, რომ ეროფეევი და ალექსანდროვი გრუ-ს ოფიცრები არიან.

– მათი სავჩენკოზე გაცვლაც არაადეკვატურია, – ამბობს რუსეთის თავდაცვის მინისტრი შოიგუ.

რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა პესკოვმა დაადასტურა: პუტინ-პოროშენკოს სატელეფონო საუბარი მართლაც შედგა და მისი მთავარი თემა სავჩენკოს შესაძლო გათავისუფლება იყო, თუმცა კონკრეტული შეთანხმების მიღწევა ვერ მოხერხდა.

## თავდასხმა ავღანეთის უშიშროების სამსახურზე



ქაბულის ცენტრში ავღანეთის უშიშროების შენობაზე თავდასხმა მოხდა. ტერორისტები სწორედ იმ ბაზას დაეცნენ, სადაც უშიშროების სპეცრაზმია განთავსებული.

შენობას ჯერ ტროტილით სავსე სატვირთო მანქანა დაეჯახა, რომელსაც ტერორისტი-შაჰიდი მართავდა, შემდეგ შეიარაღებულმა მებრძოლებმა ცეცხლი გახსნეს.

ორმხრივი სროლის შედეგად 30-მდე ადამიანი დაიღუპა, 339 დაშავდა. დაზარალებულთა უმრავლესობა ავღანეთის უშიშროების თანამშრომლები და სპეცრაზმის მებრძოლებია. სამოქალაქო პირებიდან მხოლოდ 6 არის დაჭრილი.

ტერაქტზე პასუხისმგებლობა მოძრაობა თალიბანმა აიღო. მის სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია: განადგურებულია ტერორისტული შენაერთი, რომელიც ავღანეთის მტრებს ემსახურებოდა.

## ცოლ-ქმარი იუნუსები ჰოლანდიაში გაემგზავრნენ

ცნობილი აზერბაიჯანელი უფლებადამცველები არიფ და ლეილა იუნუსები ჰოლანდიაში გაემგზავრნენ.

ლეილა იუნუსი მკურნალობას საჭიროებს. მისი მეუღლის, არიფ იუნუსის ცნობით, აზერბაიჯანის ხელისუფლება მათ საზღვარგარეთ სამკურნალოდ გამგზავრების ნებას არ აძლევდა.

– მხოლოდ მას შემდეგ, რაც საქმეში აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი ჩაერია, გამგზავრების უფლება მოგვცეს, – ამბობს არიფ იუნუსი.

ჰოლანდიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კონდერსმა განაცხადა, რომ ცოლ-ქმარ იუნუსების წინაშე ქედს იხრის.

– ისინი ადამიანის უფლებების დაცვის სადარაჯოზე ქედუხრელად იდგნენ და ამის გამო ხშირად სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდნენ, – თქვა კონდერსმა.




აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი მიესალმა აზერბაიჯანის ხელისუფლების გადაწყვეტილებას, რომელმაც ცოლ-ქმარს საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასვლის ნება დართო.

– ეს ჰუმანური გადაწყვეტილებაა, – ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

## ნიდერლანდების პარლამენტმა უკრაინა-ევროკავშირს შორის ხელშეკრულება არ გააუქმა




ჰოლანდიის პარლამენტმა უკრაინა-ევროკავშირს შორის შეთანხმება ძალაში დატოვა.

ეს შეთანხმება ნაწილობრივ უკვე შევიდა ძალაში. ევროკავშირის თითქმის ყველა ქვეყანამ მისი რატიფიცირება მოახდინა.

ჰოლანდიის პრემიერი აცხადებდა, რომ რეფერენდუმის შემდეგ, სადაც უმრავლესობამ შეთანხმებას მხარი არ დაუჭირა, ევროსკეპტიკოსთა პოზიციებს გაითვალისწინებდა, პარლამენტმა კი უკრაინა-ევროკავშირს შორის შეთანხმება ძალაში დატოვა.

მთავრობასაც სწორედ ამისი გათვალისწინება მოუწევს.

## ეკვადორის მიწისძვრამ 500-მდე ადამიანი შეიწირა

ეკვადორის პრეზიდენტის განცხადებით, მიწისძვრამ 500-მდე ადამიანს სიცოცხლე შეიწირა, განცდილი ზარალი კი 4 მილიარდ დოლარს აღემატება.

– ეკვადორი სასწრაფოდ საჭიროებს დახმარებას, – ამბობს პრეზიდენტი.



მოამზადა ნიკა თევზაძემ

## განცხადებები

### იყიდება

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზ. №57, II სადარბაზო, II სართული. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ხანგრძლივი პრაქტიკული და კლინიკური გამოცდილების ექიმი ვმკურნალობ კარგი შედეგით სექსუალურ უძლურებას, სასქესო ორგანოების დაავადებებს, სქესობრივი კავშირებით გადამდებ ყველა სნეულებას, უშვილობას მამაკაცებში. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაციები უფასოა. ტელ: 2-14-07-72; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# კაკტუსი საკალათბურთო ელიტას დაუბრუნდა

**კაკტუსი – ვითა 83:63**

(20:20; 20:13; 20:14; 23:26)

საკალათბურთო კლუბი კაკტუსი სუპერლიგას დაუბრუნდა. ვინც ქართულ კალათბურთს დამოუკიდებლობის შემდეგ ადევნებს თვალს, კარგად ეხსომება ტრადიციული მეტოქეების, კაკტუსისა და ვითას დაპირისპირება. ამ გუნდებს ბევრჯერ ჩემპიონობის ბედი გადაუწყვეტიათ ერთმანეთში, შემდეგ საკალათბურთო რუკიდან გაქრნენ, მაგრამ ისევ გამოჩნდნენ – ამჯერად პირველ ლიგაში, სადაც ერთმანეთში ამჯერად სუპერლიგის საგზურის ბედი გადაწყვიტეს.

მატჩი დაძაბული მხოლოდ დასაწყისში გამოდგა, შემდეგ კი უკვე ნათელი გახდა, რომ მომავალ, 2016-17 წლების სეზონში სუპერლიგაში მონაწილეობას მიიღებს კლუბი კაკტუსი.

აღსანიშნავია, რომ პირველლიგელმა კაკტუსმა მოუგო იმ გუნდს, რომელიც ვითიბი ლიგაზე გამოდის.

ა ლიგის ბოლო ტურის მატჩში ერთმანეთს ცხრილის 1-2 ადგილებზე მყოფი გუნდები შეხვდნენ. არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა კაკტუსელებმა მეტოქე დამაჯერებელი სხვაობით – 83:63 დაამარცხეს და ა ლიგის ჩემპიონები გახდნენ.

საბოლოო ცხრილში ვითასა და კაკტუსს თანაბარი მოგებები აქვთ, თუმცა ქულებით ჟღენტის გუნდმა იძალა. საქმე ის გახლავთ, რომ ვითა პირველ წრეში ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა კაკტუსთან ტექნიკური წაგებითა და 1 ქულის ჩამორთმევით დასაჯა. ვითელებმა ეს დანაკლისი იმის გამო მიიღეს, რომ კაკტუსის ამერიკელ ლეგიონერს, კლარენს ჯექსონს ფარულად კონტრაქტი გაუფორმეს.

მას შემდეგ, მეორე წრეში ვითამ კაკტუსი დაამარცხა და ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ თუკი ვითელები დარჩენილ ყველა შეხვედრას მოიგებდნენ, პირველ ადგილს დაიკავებდნენ. ლატვიელი სპეციალისტის, ნიკოლაის მაზურსის გაწვრთნილმა გუნდმა ქულების ჩამორთმევის შემდეგ მართლაც ყველა თამაში მოიგო და მიადგა ბოლო ტურის მატჩს, სადაც კაკტუსს დაუპირისპირდა.

მატჩს ძალიან კარგად მომზადებულები შეხვდნენ კაკტუსელები, რომლის წევრებმაც სულ სხვა კალათბურთი ითამაშეს, ბოლომდე იბრძოლეს და გამარჯვება ალალად დაიმსახურეს. შეუჩერებელი იყო დანიელ უილიამსი, რომელსაც მახვილგონივრული გარღვევებითა და პასებით უდიდესი სარგებლობა მოჰქონდა კაკტუსისთვის. ფრედ დასრულებული პირველი პერიოდის შემდეგ, მეორე ათწუთეულში ჟღენტის გუნდმა ხელჩასაჭიდი უპირატესობა მოიპოვა.

უილიამსთან ერთად ძალიან სასარგებლო იყო კაკტუსელთა მეორე ამერიკელი ლეგიონერი ფილიპ ჰენრი, რომელიც ფარქვეშ ხომ ყოჩაღობდა და ძირითადად ქულები საშუალო ტყორცნებით მოაგროვა. ის ხშირად ჩერდებოდა სამწამიანამდე და საშუალო მანძილიდან უტევდა. ეს ერთგვარი ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო, რადგან ფარქვეშა ბრძოლაში უპირატესობა ვითელთა ტანმაღალ – 218 სანტიმეტრი სიმაღლის კონსტანტინ ანიკეენკოს ექნებოდა. ასე კი უკრაინელი ცენტრი ვერ ასწრებდა ჰენრისთან პერიმეტრზე ასვლას, ეს უკანასკნელი კი, როგორც ჩანს, სპეციალურად იყო სროლებზე ნავარჯიშევი და საბოლოოდ 22 ქულით მატჩის ბომბარდირიც გახდა.

კაკტუსს სისწრაფე და დიდი მუხტი შემატა შეცვლაზე შესულმა დავით ლომიძემ, რომლის სწრაფი გარღვევები და ზუსტი სამქულიანები ვითელთა გასატეხად საკმარისი აღმოჩნდა. ძალიან მნიშვნელოვანი 2 სამქულიანი ჩააგდო ლევან ლოლიშვილმა, უკანახაზელი ბექა ჩიკვილაძე კი ისე იბრძოლა ფარიდან ასხლეტილი ბურთის მოსაპოვებლად, რომ საბოლოოდ მოედანზე მყოფთაგან (ვითელ ანიკეენკოსთან ერთად) ყველაზე მეტი – 9 მოხსნა დააგროვა.

მესამე მეოთხედის 20:14 მოგებით კაკტუსმა 13 ქულიანი ჰანდიკაპი მოიპოვა და როცა ბოლო პერიოდის საწყის წუთებში ვითელებმა თამაშის სცენარი ვერ შეცვალეს, მატჩის ბედი გაირკვა. კაკტუსელთა ლიდერობამ 20 ქულას მიაღწია და შეხვედრა ისე ჩამთავრდა, ვითელებს მიზერული შანსიც არ მისცემიათ.




მატჩის შემდეგ გაიმართა დაჯილდოების ცერემონიალი. წაგებულმა ვითამ უარი თქვა ა ლიგის მეორეადგილოსანისთვის განკუთვნილ მედლებსა და სიგელებზე, ხოლო მოზეიმე კაკტუსელებმა აღნიშნული ჯილდოები და პლუს სუპერლიგის სიმბოლური ლიცენზია კალათბურთის ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ვლადიმერ ბოისასგან და პრეზიდენტ მიხეილ გაბრიჩიძისგან ჩაიბარეს.

არჩილ ჟღენტი, კაკტუსის მთავარი მწვრთნელი:

– პირველ რიგში დიდ მადლობას გადავუხდი კალათბურთელებს. სეზონის მანძილზე ჩვენ ბევრი სირთულე გვქონდა, რომლებიც ერთად გადავლახეთ. სასიხარულოა, რომ ვითიბი ლიგაში მოასპარეზე ძლიერი ვითას დამარცხება შევძელით ფინალში და მთავარი მიზანი, რომელიც სუპერლიგაში მოხვედრა იყო, შევასრულეთ. კაკტუსის გუნდი ყოველთვის ამბიციური იქნება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.კაკტუსი | 15 | 13 | 2 | 1257-945 | 28 |
| 2.ვითა | 15 | 13 | 2 | 1160-920 | 26 |
| 3.სეუ | 15 | 6 | 9 | 1038-1206 | 21 |
| 4.წყალტუბო | 14 | 7 | 7 | 944-956 | 21 |
| 5.თსუ | 14 | 5 | 9 | 983-1122 | 19 |
| 6.ვინგსი | 15 | 0 | 15 | 993-1226 | 15 |

# 18 წლამდე ნაკრებმა შეკრება დაიწყო



საქართველოს 18 წლამდე ნაკრებმა სლოვაკეთში დაგეგმილი საერთაშორისო ტურნირისთვის მზადება დაიწყო. გიორგი ყიფიანმა გუნდი სფფ-ს ტექნიკურ ცენტრ „ბასაზე“ შეკრიბა და ოთხი დღის განმავლობაში მოამზადებს, 24 აპრილს კი ნაკრები ქალაქ ტრნავაში გაემგზავრება.

ტურნირი 25 აპრილს იწყება და მასში 8 ნაკრები მონაწილეობს. ქართველი 18-წლამდელები ა ჯგუფში აშშ-თან, სლოვაკეთთან და უკრაინასთან ერთად ითამაშებენ. ბ ჯგუფში რუსეთი, ჩეხეთი, ნორვეგია და მაკედონია მოხვდნენ.

საქართველოს ნაკრების სატურნირო განრიგი ასეთია:

**25 აპრილი:** აშშ-საქართველო; **26 აპრილი:** სლოვაკეთი-საქართველო; **28 აპრილი:** საქართველო-უკრაინა;

**29 აპრილს** ჩვენი გუნდი კიდევ ერთ მატჩს ჩაატარებს იმის მიხედვით, თუ რომელ ადგილს დაიკავებს ჯგუფში.

გიორგი ყიფიანმა „ბასაზე“ შემდეგი 25 ფეხბურთელი გამოიძახა:

**თემურ ჩოგაძე, ნიკა მალი, ლუკა სანიკიძე, ლუკა ლაკვეხელიანი, იოსებ მოლაშვილი, თომა ხუბაშვილი, ომარ ბულუხაძე, მერაბ მეგრელაძე, გიორგი ჩოჩიშვილი, გიორგი ქოჩორაშვილი, ბექა ნიკოლეიშვილი (ყველა საბურთალო), გიორგი კუცია, ლუკა ლოჩოშვილი, ლევან ისიანი, ლუკა ფოჩხუა, დავით კობაური (ყველა დინამო თბ), ბექა ქავთარაძე (35-ე სკოლა), შალვა ბურჯანაძე, ჯუბა ხმელიძე, გაბრიელ საღრიშვილი (ყველა ტორპედო), ირაკლი ბუღრიძე, ბექა ქებაძე (ორივე ლოკომოტივი), ნიკა კვანტალიანი, ზურაბ ბერიძე (ორივე დინამო ბთ), თორნიკე ჭურაძე (მარგვეთი).**

# ყოჩები და ჯიქი მედლებისთვის ბრძოლას აგრძელებენ



დიდი 10-ის წლევანდელი სეზონი ყველაზე საინტერესო, საპლეიოფო სტადიაში შევიდა, რომლის პირველი ტური ფოთსა და თბილისში მიილია. თუმცა, მასპინძლები ბათუმელები და გორელები იყვნენ.

მოგეხსენებათ, რომ რეგულარულ სეზონში 1-2 ადგილოსნებმა, გასული სეზონის ჩემპიონმა ლელო სარასენსმა და ვერცხლის პრიზიორმა ლოკომოტივმა პირველ ტურში დაისვენეს.

**ბათუმი – ყოჩები 13:22**

ფოთის „პარკი არენაზე“ რეგულარული პირველობის უკეთეს ადგილზე დასრულების გამო მასპინძლის უპირატესობა ბათუმს ერგო და ნომინალურად „შინ“ ყოჩებს უმასპინძლა.

ფორტუნა კი, საქართველოს უძველესი კლუბის, ყოჩების მხარეს იყო: პირველ ტაიმში გამოცდილმა ალექსანდრე ხუციშვილმა დუბლი გაახერხა. ერთი ლელოც ნიკა ჩხიკვაძემ მიითვალა. სამიდან ორი სოხაძემ გარდასახა – 0:19

მეორე ტაიმი მასპინძლებმა უკეთ დაიწყეს. მალე ყოჩების 22-ში შერკინებების სერია მოყვა, რომლებშიც სტუმრები გამუდმებით ჯარიმდებოდნენ და გიორგი ხოსიტაშვილი სინბინით დაისაჯა. ბათუმმა ამ მეთოდით მანძილიც მოიგო და მეექვსე ჯერზე ლაშა აზალაძემ მოულოდნელად რომ შეუტია, მცველებმა მისი შეჩერება ველარ მოახერხეს. ბახვა კობახიძემ გარდასახვა ზუსტად შეასრულა – 7:19.

ბათუმელებმა მეტი მონდომებით შეუტიეს და სტუმრებს სულ უფრო უჭირდათ შეტევების მოგერიება. ისინი ლელოს გადაურჩნენ, თუმცა კარის წინ შერკინებაში რომ დაჯარიმდნენ, კობახიძემ სხვაობა 9 ქულამდე დაიყვანა – 10:19.

75-ე წუთზე ბურთის ჩახურვისთვის სტუმრები დაჯარიმდნენ. კობახიძემაც 45 მეტრიდან ჩამორჩენა 6 ქულამდე დაიყვანა – 13:19.

აქ ბათუმს მოსაგებად ერთი გარდასახული ლელო სჭირდებოდა. თუმცა ბოლო წამები სათავისოდ ყოჩებმა გამოიყენეს – სოხაძემ არეკნი ზუსტად დაარტყა და მატჩის საბოლოო ანგარიში – 22:13 ყოჩების სასარგებლოდ დააფიქსირა.

**ჯიქი – აია 25:14**

გუნდებმა უკეთ თითო ტაიმი ჩაატარეს. ცვალებადობის მიზეზი კი ძლიერი ქარი იყო, რომელიც ზურგს ჯერ აიას, მერე ჯიქს „უმაგრებდა“.

მატჩის დებიუტში ჯერ ბორჯღალოსანმა გიორგი ფრუიძემ შექმნა ხიფათი, როდესაც ფეხით შეცურებულ ბურთს მიყვა, თუმცა მცველმა ბოლო მომენტში დაასწრო და მერე მიხეილ რატიაშვილმა გაჭრა ხაზი, ორი მცველიც ჩამოიცილა, თუმცა ლელომდე საქმე ვერ მივიდა.

შემდეგ რეზი ჯინჭველაშვილმა ჯერ ხელსაყრელი მდგომარეობიდან ჯარიმა და მერე შორიდან არეკნი ააცილა. მალევე ქუთაისელთა უპირატესობა ანგარიშშიც აისახა – 25-ე წუთზე იოსებ კიკვაძის ფეხით გადაკიდებული ორმა მცველმა ვერ აიღო და აიელთა ფულბეკმაც მეტოქის ლელოში დაამიწა, რასაც ჯინჭველაშვილის გარდასახვა მოყვა – 0:7. ჯიქმა სტუმრებს მალევე რამაზ ხარაზიშვილის ჯარიმით უპასუხა – 3:7, რაც ტაიმის საბოლოო ანგარიში გახდა.

ტაიმის დასრულებამდე მნიშვნელოვანი ისიც მოხდა, რომ მოწვეულმა ირლანდიელმა არბიტრმა ჯიქს ორი მორაგბე გაუსინბინა და მასპინძლები მოედანზე 13 კაცის ოდენობით დარჩნენ.

ქუთაისლებმა მეტობა მატჩის განახლებიდან მალევე გამოიყენეს და მე-5 წუთზე საკუთარი ნახევრიდან წამოწყებული კარგი, თანმიმდევრული შეტევის შემდეგ თემურ თუთბერიძემ რაქიდან აიტაცა, დაცვაში ცარიელი ადგილი მოძებნა და ჯიქი დაალელოვა. ჯინჭველაშვილმაც ზუსტად გარდასახა – 3:14.

ჯიქელთა სინ ბინის ვადა რომ ამოიწურა, მათი უპირატესობაც თვალსაჩინო გახდა – მე-60 წუთზე მორკინალებმა შერკინებიდან საჯარიმო ლელო გამოიმუშავეს და ხარაზიშვილიც ზუსტი იყო – 10:14, თუმცა მას მანამდეც ჰქონდა გუნდისთვის დამატებით 3 ქულის მოპოვების შესაძლებლობა, რომელიც ვერ გამოიყენა. ცოტა ხანში ჯიქის ანგარიში კაპიტანმა, გურამ შენგელიამ ლელოთი გაზარდა და არაზუსტი გარდასახვის მიუხედავად, მასპინძლები დაწინაურდნენ – 15:14.

ამის შემდეგ ჯიქმა უპირატესობა ხელიდან არ გაუშვა და მონაგარს 76-ე წუთზე კიდევ ერთი ლელო მიამატა, რომელიც გაბროშვილის ანგარიშზეა. ხარაზიშვილმა იზუსტა და მატჩის დასრულებამდე ჯარიმაც გაიტანა – 25:14.

## შედეგები

19 აპრილი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ნიუკასლი-სიტი ............................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლესტერი | 34 | 21 | 10 | 3 | 59-33 | 73 |
| 2.ტოტენჰემი | 34 | 19 | 11 | 4 | 64-25 | 68 |
| 3.სიტი | 34 | 18 | 7 | 9 | 62-34 | 61 |
| 4.არსენალი | 33 | 17 | 9 | 7 | 56-34 | 60 |
| 5.მანჩესტერი | 33 | 16 | 8 | 9 | 40-30 | 56 |
| 6.ვესტ ჰემი | 33 | 13 | 14 | 6 | 54-42 | 53 |
| 7.საუთჰემპტონი | 34 | 14 | 9 | 11 | 45-35 | 51 |
| 8.ლივერპული | 32 | 14 | 9 | 9 | 52-43 | 51 |
| 9.სტოკი | 34 | 13 | 8 | 13 | 37-47 | 47 |
| 10.ჩელსი | 33 | 11 | 11 | 11 | 49-45 | 44 |
| 11.ევერტონი | 33 | 9 | 14 | 10 | 53-44 | 41 |
| 12.უოტფორდი | 33 | 11 | 8 | 14 | 32-37 | 41 |
| 13.ბორნმუთი | 34 | 11 | 8 | 15 | 41-57 | 41 |
| 14.ვესტ ბრომვიჩი | 33 | 10 | 10 | 13 | 31-40 | 40 |
| 15.სუონსი | 34 | 10 | 10 | 14 | 34-45 | 40 |
| 16.კრ.პალასი | 34 | 10 | 9 | 15 | 36-43 | 39 |
| 17.ნორვიჩი | 34 | 8 | 7 | 19 | 35-60 | 31 |
| 18.სანდერლენდი | 33 | 7 | 9 | 17 | 39-57 | 30 |
| 19.ნიუკასლი | 34 | 7 | 8 | 19 | 36-62 | 29 |
| 20.ასტონ ვილა | 34 | 3 | 7 | 24 | 23-65 | 16 |

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ბირმინგემი-პრესტონი .................. 2:2
ბრენტფორდი-კარდიფი ................ 2:1
ბრაიტონი-ქპრ ............................ 4:0
ბრისტოლი-დერბი ....................... 2:3
ბარნლი-მიდლსბრო ..................... 1:1
იფსვიჩი-ფულემი ......................... 1:1
ლიდსი-ვულვზი ........................... 2:1
ნოტინგემი-ბლექბერნი ................. 1:1
როტერჰემი-ჰადერსფილდი ........... 1:1
უენსდი-მილტონი ......................... 0:0
ბოლტონი-ჩარლტონი .................... 0:0
რედინგი-ჰალი ............................. 1:2

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ესპანიოლი-სელტა ........................ 1:1
ბეტისი-ლას პალმასი ..................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 33 | 24 | 4 | 5 | 88-29 | 76 |
| 2.ატლეტიკო | 33 | 24 | 4 | 5 | 57-16 | 76 |
| 3.რეალი | 33 | 23 | 6 | 4 | 98-30 | 75 |
| 4.ვილიარეალი | 33 | 17 | 9 | 7 | 42-28 | 60 |
| 5.ბილბაო | 33 | 16 | 6 | 11 | 51-40 | 54 |
| 6.სელტა | 34 | 15 | 9 | 10 | 47-54 | 54 |
| 7.სევილია | 33 | 13 | 10 | 10 | 46-40 | 49 |
| 8.მალაგა | 33 | 10 | 11 | 12 | 30-30 | 41 |
| 9.ეიბარი | 33 | 11 | 8 | 14 | 45-49 | 41 |
| 10.სოსიედადი | 33 | 11 | 8 | 14 | 41-44 | 41 |
| 11.ბეტისი | 34 | 10 | 11 | 13 | 31-46 | 41 |
| 12.ლას პალმასი | 34 | 11 | 7 | 16 | 38-46 | 40 |
| 13.ვალენსია | 33 | 10 | 10 | 13 | 38-40 | 40 |
| 14.დეპორტივო | 33 | 7 | 17 | 9 | 42-48 | 38 |
| 15.ესპანიოლი | 34 | 10 | 7 | 17 | 35-63 | 37 |
| 16.რაიო | 33 | 8 | 10 | 15 | 45-65 | 34 |
| 17.გრანადა | 33 | 7 | 9 | 17 | 33-60 | 30 |
| 18.ხიხონი | 33 | 7 | 8 | 18 | 33-54 | 29 |
| 19.ლევანტე | 33 | 7 | 7 | 19 | 30-56 | 28 |
| 20.ხეტაფე | 33 | 7 | 7 | 19 | 29-61 | 28 |

**გერმანია. თასი**

ბაიერნი-ვერდერი ......................... 2:0

**იტალია. სერია ა**

ნაპოლი-ბოლონია ......................... 6:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 33 | 25 | 4 | 4 | 62-17 | 79 |
| 2.ნაპოლი | 34 | 22 | 7 | 5 | 72-29 | 73 |
| 3.რომა | 33 | 18 | 11 | 4 | 70-36 | 65 |
| 4.ინტერი | 33 | 18 | 7 | 8 | 44-30 | 61 |
| 5.ფიორენტინა | 33 | 17 | 8 | 8 | 54-36 | 59 |
| 6.მილანი | 33 | 14 | 10 | 9 | 43-35 | 52 |
| 7.სასუოლო | 33 | 12 | 12 | 9 | 41-38 | 48 |
| 8.ლაციო | 33 | 13 | 9 | 11 | 44-42 | 48 |
| 9.კიევო | 33 | 12 | 9 | 12 | 38-40 | 45 |
| 10.ტორინო | 33 | 11 | 9 | 13 | 42-44 | 42 |
| 11.ჯენოა | 33 | 11 | 7 | 15 | 38-41 | 40 |
| 12.ემპოლი | 33 | 10 | 9 | 14 | 36-45 | 39 |
| 13.ბოლონია | 34 | 10 | 7 | 17 | 31-44 | 37 |
| 14.ატალანტა | 33 | 9 | 10 | 14 | 34-41 | 37 |
| 15.სამპდორია | 33 | 9 | 9 | 15 | 46-50 | 36 |
| 16.უდინეზე | 33 | 9 | 8 | 16 | 29-48 | 35 |
| 17.კარპი | 33 | 7 | 10 | 16 | 33-51 | 31 |
| 18.ფროზინონე | 33 | 8 | 6 | 19 | 31-61 | 30 |
| 19.პალერმო | 33 | 7 | 7 | 19 | 29-61 | 28 |
| 20.ვერონა | 33 | 3 | 13 | 17 | 28-56 | 22 |

**იტალია. სერია ბ**

ასკოლი-ბარი ................................ 0:1
აველინო-ტრაპანი ......................... 1:3
ბრეშა-ენტელა .............................. 2:0
კომო-კალიარი .............................. 1:1
ლანჩანო-ნოვარა .......................... 2:1
ლივორნო-ლატინა ......................... 1:0
მოდენა-პერუჯა ............................ 3:0
სალერნიტანა-ვიჩენცა .................. 0:0
პეცია-პესკარა ............................. 0:1
ტერნანა-პრო ვერჩელი ................. 2:2

**საფრანგეთი. თასი**

ლორიანი-პსჟ ............................... 0:1

**ჰოლანდია. ეპედივიზიობი**

გრონინგენი-როდა ......................... 1:0
პსვ-ვიტესი .................................. 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ციურიხი-გრასჰოპერსი ................. 1:1

**ავსტრია. თასი**

ადმირა-სტ.პოლტენი ..................... 2:1

**ბელგია. იუპილიგა**

ოსტენდე-ვარეგემი ....................... 3:3

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

კრაკოვია-ზაგლებიე ...................... 1:0
ლეხი-პიასტი ................................ 2:2
გდანსკი-პოგონი .......................... 2:0
რუხი-ლეგია ................................. 0:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

დიურგარდენი-ჰამარბი ................. 1:3

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის განწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## ჩინელმა მილიონერმა ქალის გამო სიმდიდრეზე უარი თქვა

ჩინელმა მილიონერმა იაო ნანიშანმა სიმდიდრეზე უარი უბრალო ფერმერი ქალის ლიუ ლიცზიანის გამო თქვა.

2015 წლის ოქტომბრამდე ტატიშანი ესპანეთში ცხოვრობდა, მაგრამ 57 წლის მილიონერმა გადაწყვიტა უარი ეთქვა ევროპაში ქონებასა და აქტივებზე, რათა საცხოვრებლად გადასულიყო ჩინეთის პროვინცია ჩჟეცზიანის ერთ-ერთ სოფელში და დარჩენილი ცხოვრება თავისი „ჭეშმარიტი სიყვარულის" გვერდით გაეტარებინა.



წყვილი ერთმანეთს 2013 წელს შეხვდა. ლიუ ლიცზიანი ქვრივია. მის ქალიშვილს სისხლის უიშვიათესი დაავადება აქვს. როდესაც მილიონერი ქალს სიყვარულში გამოუტყდა, ლიცზიანმა მისი წინადადება უარყო, რადგან არ სურდა მისთვის ცხოვრება საკუთარი პრობლემებით დაემძიმებინა. ნანიშანმა ქალის „არა" პასუხად არ ჩათვალა. ის ესპანეთში დაბრუნდა და საკუთარი ბიზნესი და მთელი აქტივები შვილებზე გადააფორმა, შემდეგ კი ჩჟეცზიანში დაბრუნდა. წყვილი შობის დღესასწაულის დროს დაქორწინდა. ამჟამად კი ისინი პატარა სასტუმროს ფლობენ.

## ჩვილბავშვიანმა ქალმა მძარცველს შავი დღე აყარა



საფრანგეთის რეგიონ კალვადოსის მცხოვრებმა ქალმა, რომელსაც ხელში ჩვილი ბავშვი ეკავა, აიძულა შეიარაღებული მძარცველი, პისტოლეტი დაეშვა და რესტორანი დაეტოვებინა. ინციდენტი სათვალთვალო კამერამ ჩაიწერა, ხოლო თავად ჩანაწერი ადგილობრივი პორტალის იუთუბის არხზე იქნა განთავსებული. ერთ დღე-ღამეში ის 10 ათასზე მეტჯერ იქნა ნანახი.

ნიღბიანი მამაკაცი დაწესებულებაში შეიჭრა, იარაღი თანამშრომლებს მიუშვირა და ფული მოითხოვა. რესტორნის მფლობელმა ქალმა, რომელსაც იმ მომენტში ხელში ჩვილი ბავშვი ეჭირა, პისტოლეტ მომარჯვებულ მძარცველს წინ ჩაუარა, ბავშვი დასვა და მძარცველს თავს დაესხა, ჩანთა ხელიდან გამოგლიჯა, რომელშიც სავარაუდოდ მძარცველი წართმეული ფულის ჩადებას აპირებდა, და მას თავში ჩასცხო. ამ დროს ქალს სხვა თანამშრომლებიც წამოეშველნენ და თავდამსხმელი აიძულეს, რესტორანი დაეტოვებინა.

## ატრაქციონ „ნოეს კიდობანში" სამუშაოდ მხოლოდ ქრისტიანებს მიიღებენ



ამერიკის კენტუკის შტატში ატრაქციონ „ნოეს კიდობანში" სამუშაოდ მხოლოდ ქრისტიანებს მიიღებენ. თემატური პარკი ივლისში გაიხსნება. იქ დამთვალიერებლები ნახავენ „ნოეს კიდობანის" ასლს, რომლის სიგრძე 155 მეტრს აჭარბებს.

პროექტს ახორციელებს რელიგიური ჯგუფი. ის ატრაქციონზე დასაქმებისთვის 300-დან 400-მდე თანამშრომელს მოიძიებს, რომლებიც სხვადასხვა სამსახურის გარდა, ბილეთების გაყიდვითაც იქნებიან დაკავებულები. თანამშრომლებს შესთავაზებენ, ხელი მოაწერონ საბუთს, რომელიც დაადასტურებს, რომ ის ქრისტიანია და ქრისტეს საკუთარ მაცხოვრად აღიქვამს.

როგორც რელიგიური ჯგუფის დამაარსებელმა კენ ჰემმა განაცხადა, ფედერალურმა სასამართლომ რელიგიურ ჯგუფს უფლება მისცა თანამშრომლები ასეთი პირობებით დაიქირავოს. ჰემმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბუთზე ხელისმომწერებს არ განასხვავებენ იმის მიხედვით, რომელ აღმსარებლობას წარმოადგენენ პროტესტანტებს, კათოლიკეებს, ბაპტისტებს თუ სხვა ქრისტიანებს.

## 73 წლის ქალმა საცურაო კოსტუმში გაუკეთა რეკლამა ხანდაზმულ ქალებს



დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონის მცხოვრებმა, 73 წლის ქალბატონმა საცურაო კოსტუმში გამოწყობილმა მიიღო მონაწილეობა ფოტოსესიაში, რათა ამით საკუთარი სხეულის სილამაზე ეჩვენებინა, მიუხედავად ხანდაზმული ასაკისა.

დიასახლისმა ნორამ (სრული ვინაობა უცნობია) ფოტოგრაფ ემილი სტეინთან ერთად შექმნა სურათების სერია სახელწოდებით „გამარჯობათ, მე ნორა ვარ". მის მიზანს კი წარმოადგენს გარშემომყოფთ უჩვენონ საკუთარი თავდაჯერებულობა საკუთარ თავსა და გარეგნობაში.

ქალმა ასევე სურათები გადაიღო, ქურქში, კაბებსა და საცვლებში. ნორამ აღნიშნა, რომ ადრე არ ჰქონდა გათვითცნობიერებული საკუთარი მომხიბვლელობა და ფოტოსესიებში მონაწილეობის მიღების ერიდებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ტოტი რომადან მიდის



ფრანჩესკო ტოტის მდგომარეობა რომაში უფრო გართულდა მას შემდეგ, რაც მას გუნდის მთავარ მწვრთნელ ლუჩიანო სპალეტისთან კონფლიქტი მოუვიდა.

საქმე იქამდეც მივიდა, რომ სპალეტიმ რომას ხელმძღვანელობას ულტიმატუმი წაუყენა, რომ ტოტი აუცილებლად უნდა წავიდეს, თორემ სპალეტი რომას მწვრთნელი აღარ იქნება.

ფრანჩესკოს სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება, მაგრამ 39 წლის ფეხბურთელი კარიერის დასრულებას არ აპირებს.

ტოტის რამდენიმე წინადადება აქვს სხვადასხვა გუნდებისგან, ყველაზე რეალური კი ნიუ იორკის კოსმოსია, რომელსაც დიდი სურვილი აქვს, ტოტი თავისთან იხილოს. აღსანიშნავია, რომ ტოტიმ რომას ერთ-ერთ ბოლო შეხვედრაში ატალანტას წინააღმდეგ გოლის გატანა შეძლო.

## მანუელ ნოიერმა ბაიერნთან კონტრაქტი გააახანგრძლივა



გერმანიის ნაკრების და ბაიერნის მეკარემ მანუელ ნოიერმა თავის გუნდთან კონტრაქტი გააახანგრძლივა.

ახალი ხელშეკრულების მიხედვით, ნოიერი ბაიერნში 2021 წლის ჩათვლით ითამაშებს და მისი ხელფასიც გაიზრდება.

მანუელ ნოიერი ბაიერნში 2011 წელს გადავიდა და მას შემდეგ გუნდის უცვლელი პირველი მეკარეა.

ნოიერმა განაცხადა, რომ შესაძლოა ის სხვა კლუბში არც გადავიდეს და კარიერა მიუნხენის ბაიერნში დაასრულოს.

ამ სეზონში გერმანიის ჩემპიონატში ნოიერმა მხოლოდ 14 გოლი გაუშვა.

## ტოტენჰემი შკოდრან მუსტაფით დაინტერესდა



ტოტენჰემის მთავარი მწვრთნელი მაურისიო პოჩეტინო მოხიბლულია ვალენსიის გერმანელი მცველის შკოდრან მუსტაფის თამაშით და მზად არის, ის თავის გუნდში გადმოიყვანოს.

მუსტაფის ვალენსიასთან კიდევ 3 წელი აკავშირებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის აუცილებლად ვალენსიაში დარჩება.

ტოტენჰემი მზად არის გერმანელ ფეხბურთელში 25 მილიონი ევრო გადაიხადოს, რაც საკმაოდ სოლიდური თანხაა. ესპანური პრესა კი იტყობინება, რომ ვალენსია 50 მილიონ ევროს ითხოვს.

მუსტაფი ვალენსიაში 2014 წელს გადავიდა და მას შემდეგ გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელია.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუვენტუსი საზაფხულო ტრანსფერებს გაზაფხულიდან ამზადებს



ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის პერიოდში ტურინის იუვენტუსის ხელმძღვანელობა მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას აპირებს. აპენინური მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჯუზეპე მაროტას მთავარი ამოცანა დაცვის მარჯვენა ფლანგისა და შემტევი ნახევარმცველის პოზიციის გაძლიერება იქნება.

მარჯვენა მცველის პოზიციაზე ბიანკონერები მადრიდის რეალის უკანახაზელს, დანილოს განიხილავენ, რომელიც მცირე სათამაშო პრაქტიკის გამო სამეფო კლუბის დატოვებასთან ახლოსაა. პორტოს ყოფილი ფეხბურთელი დანიელ კარვახალს კონკურენციას ვერ უწევს, რის გამოც მისი აგენტები სხვადასხვა კლუბებთან აწარმოებენ მოლაპარაკებებს. აღსანიშნავია, რომ ტურინში დანილოს ყოფილი თანაგუნდელი, ალექს სანდრო ასპარეზობს, ტრანსფერში ერთ-ერთი საკვანძო მომენტი კი შესაძლოა სწორედ ეს გახდეს.

კვლავ გრძელდება იუვენტუსისა და ოსკარის საგა. როგორც ჩანს, ლონდონურ ჩელსიში ანტონიო კონტე ბრაზილიელ ნახევარმცველზე დაყრდნობას არ აპირებს და მისი გასხვისების წინააღმდეგი არაა. თავის მხრივ, ალეგრის ფორვარდების უკან მოთამაშე ფეხბურთელი სჭირდება და მისი თქმით, ლონდონური კლუბის შუახაზელი ერთ-ერთი საუკეთესო ვარიანტია.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

## ასტროპროგნოზი
### 21 აპრილისთვის



**ვერძი** – თქვენი სასიცოცხლო პოტენციალი საგრძნობლად იზრდება, ასევე ძლიერდება სექსუალურობა და წინასწარმეტყველების უნარი. ნებისმიერი რთული სიტუაციიდან გამოსავალს იოლად იპოვით. **კურო** – დღეს, შესაძლოა, ძველი კონტაქტები აღადგინოთ. პრობლემების მოგვარებაში ახალი ნაცნობები დაგეხმარებიან. ემოციების გამოვლენისგან თავი შეიკავეთ. **ტყუპები** – ეს დღე ნეგატიური ტენდენციებით ხასიათდება. ნებისმიერი კომერციული აქტივობა ფინანსური კრახით დამთავრდება. ნუ იქნებით თავქარიანი, თორემ მიზანს ვერ მიაღწევთ. **კირჩხიბი** – დღეს ნურაფერს დაგეგმავთ. დაისვენეთ მყუდრო გარემოში. დაკმაყოფილდით იმით, რასაც ცხოვრება შემოგთავაზებთ. **ლომი** – მეგობრებთან შეხვედრა დიდ სიხარულს მოგანიჭებთ. კარგი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, ფიზიკური აქტივობისათვის. **ქალწული** – უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. საღამოს საკუთარ თავს პატარა დღესასწაული მოუწყვეთ. **სასწორი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. რისკი გამართლებული არ არის. თავი შეიკავეთ საქმიანი შეხვედრებისაგან. **ღრიანკალი** – ეს დღე შემოქმედებითი პოტენციალის ამაღლებით გამოირჩევა. მაქსიმალურად გამოიყენეთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი. საქმე შემოქმედებითად და, ამავე დროს, მოთმინებით აკეთეთ. **მშვილდოსანი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ, უმჯობესია, ძველი დაამთავროთ. დღეს დოკუმენტებთან ურთიერთობა სასურველი არ არის. **თხის რქა** – მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარება თამამად დაიწყეთ, ოღონდ ყველაფერს ერთად ნუ გააკეთებთ. თქვენი შესაძლებლობები გაითვალისწინეთ და ისე იმოქმედეთ. **მერწყული** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით, იკვებეთ სწორად. ფიზიკური დატვირთვა ძალიან წაგადგებათ. **თევზები** – იოლად არავის მიენდოთ, თორემ იმედი გაგიცრუვდებათ. კონტაქტები მინიმუმამდე დაიყვანეთ. თავი აარიდეთ შემთხვევით ნაცნობობას. დაისვენეთ მყუდრო გარემოში.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ძლიერმომქმედი ნარკოტიკი; 2. ვრცელი მიდამოს ხედი ზემოდან; 3. საქართველოში გავრცელებული, წითელი, ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 5. თაღლითი, ყალთაბანდი; 7. გერმანელი კომპოზიტორი, ოპერა „მფრინავი ჰოლანდიელის" მუსიკის ავტორი; 9. ფულადი ან ნატურალური გადასახადი, რომელსაც ომში დამარცხებული ქვეყანა უხდიდა გამარჯვებულს; 13. ძველბერძენი მოქანდაკე, სკულპტურა „აპოლონ ბელვედერელის" ავტორი; 15. კავკასიის ალპურ ზონაში გავრცელებული გარეული ინდაური; 16. შაქრის ლერწმის საჩეხი გრძელი დანა; 18, ჯეიმს ჯოისის რომანი.

**თარაზულად:** 4. მე-14 საუკუნის იტალიელი პოეტი; 6. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 8. სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრებით მიღებული პროდუქტი; 10. მეხსიერების დაქვეითება, დაკარგვა; 11. უნგრული ნაგაზი; 12. ფარული დაცინვა; 14. პოეტი-მომღერალი მუსლიმანურ ქვეყნებში; 17. პირველი გერმანული ოპერა; 19. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან არაყი; 20. ორგანიზმის მემკვიდრეობითობის საფუძველი; 21. მრავალსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 22. შეზღუდული გონების, ფარისევლური ქცევის, მეწვრილმანე ადამიანი; 23. გერმანიის ფეხბურთელთა გუნდი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. ფუტზალი; 2. მადაფათა; 3. სოკარი; 4. ბოსხი; 5. ნიკოტინი; 8. კარაკასი; 12. „ნანა"; 13. ორდინარი; 14. ანდები; 16. დემარში; 18. გრენა; 20. „გომი".

**თარაზულად**: 6. ჩურჩხელა; 7. აპოთეოზი; 8. „კახასა"; 9. პალმა; 10. მალაქიტი; 11. პლანტაჟი; 15. „ბრიჯსტოუნი"; 17. კარატე; 19. ბურგუნდია; 21. გალერეა; 22. დილეტანტი; 23. ხინკალი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ბავარია; 2. ანტონიმი; 3. პლანიცა; 5. „მატეზერი"; 7. მურილიო; 9. სუბმარინა; 13. კატრანი; 15. შუამთა; 16. სუნამო; 18. სპილო.

**თარაზულად**: 4. ქალამანი; 6. „კონსუელო"; 8. კაპიტოლიუმი; 10. ბაიკერი; 11. ბუცი; 12. „ვისოლი"; 14. ფშავი; 17. კრონა; 19. ჩალმა; 20. მაშარაბი; 21. აურა; 22. კალვადოსი; 23. ლონდონი.

# გოგა მესხი და მარიამ ივარდავა ბრიტანულ იქს ფაქტორში მიიწვიეს



ახალგაზრდა ქართველი მომღერლები გოგა მესხი და მარიამ ივარდავა ბრიტანულ იქს ფაქტორში მიიწვიეს. ეს არის პირველი შემთხვევა ამ პროექტის ისტორიაში, როცა მასში ქართველები მიიღებენ მონაწილეობას.

გოგას და მარიამის მონაცემები ბრიტანულ იქს ფაქტორში მარიამმა გადაგზავნა და დადებითი პასუხი მალევე მიიღო. ახლა წყვილი სპონსორს ეძებს, რათა მათთვის აუცილებელი საკითხები ფინანსურად მოგვარდეს და მათ შეძლონ მონაწილეობის მიღება პროექტში.

**გოგა მესხი:**
– 24 აპრილს უნდა ვყოფილიყავით უკვე ქასთინგზე დუბლინში, მაგრამ სპონსორების არყოლის გამო ვერ მივფრინავთ. ამიტომ ვთხოვეთ იქს ფაქტორის სტაფს, რომ 1 მაისს გადაეტანათ ჩვენი ქასთინგი.

მაქსიმუმ 29 აპრილს უნდა გავფრინდეთ, დაახლოებით 3-4 დღე გვაქვს სპონსორების მოსაძებნად. არ არის აუცილებელი ერთმა სპონსორმა დაგვიფინანსოს ყველაფერი, შესაძლოა ვიღაცამ ბილეთები დააფინანსოს, ვიღაცამ ვიზის ხარჯები, ვიღაცამ საცხოვრებელი ხარჯები.

***– რა თანხა გჭირდებათ?***

– დაახლოებით 30.000 ლარი.

# ქართველი მომღერლები „ახალ ტალღას“ დაუბრუნდნენ



ერთწლიანი პაუზის შემდეგ, სიმღერის საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსს „ახალი ტალღა“ ქართველი მომღერლები დაუბრუნდნენ. საქართველოს „ახალი ტალღის“ უფროს ასაკობრივ ჯგუფში „ახალი ხმის“ გამარჯვებული გიორგი ნადიბაიძე წარადგენს, რომელიც რუსეთში თავის მენტორთან ქეთა თოფურიასთან ჩავიდა და პროდიუსერ ნატო დუმბაძესთან ერთად ყველა საჭირო ეტაპი წარმატებით გაიარა.

გიორგი ნადიბაიძესთან ერთად, საქართველოდან კიდევ ერთი მომღერალი მონაწილეობს. „ახალი ტალღის“ საბავშვო კონკურსში ჩვენი ქვეყნის სახელით ლიზი პოპი მონაწილეობს.

# ახალგაზრდა პოეტის დასახმარებლად კონცერტი ჩატარდება



24 წლის ახალგაზრდა პოეტის ირაკლი ჭინჭარაულის დასახმარებლად საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში კონცერტი გაიმართება.

21 აპრილს სამების ტაძარში ანსამბლი „ლიბუ“ და მისი ხელმძღვანელი თამარ გოგოჭური საქველმოქმედო სალამოს გამართავენ. ამ კონცერტზე გაიყიდება ირაკლი ჭინჭარაულის ახალი წიგნიც.

პოეტი ირაკლი ჭინჭარაული 9 ნოემბერს მძიმე ავტოავარიაში მოყვა, მიიღო ქალა-ტვინის ურთულესი დაზიანება და ამჟამად იმყოფება კომატოზურ მდგომარეობაში ღუდუშაურის კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში.

პოეტის დასახმარებლად გამართულ ღონისძიებაზე შესრულდება საგალობლები და ხალხური სიმღერები. მასზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალია.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# რამაზ გიორგობიანი 70 წლის გახდებოდა



ყველასგან გამორჩეული მსახიობი რამაზ გიორგობიანი 70 წლის გახდებოდა.

მისი დებიუტი კინოში ოთარ იოსელიანის ფილმით „გიორგობისთვე“ შედგა, რასაც მოყვა „მხიარული რომანი“, „სერენადა“, „ქოლგა“, „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“, „ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“, „ფილატელისტის სიკვდილი“.

რამაზ გიორგობიანი მსახიობი, რეჟისორი და სცენარის ავტორი იყო. თბილი, საყვარელი, სევდიანი, იუმორით სავსე და უნიჭიერესი – ასე ახასიათებენ მას ის ადამიანები, ვინც მსახიობს პირადად იცნობდა.

რამაზ გიორგობიანის გარდაცვალება ყველასთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ის 49 წლის ასაკში ინსულტით გარდაიცვალა. მისი ბოლო ფილმი აღმოჩნდა „მორევი“, რომელმაც მორევივით ჩაითრია ახალგაზრდა მამაკაცი და სამუდამოდ დააშორა საყვარელ ადამიანებს, საყვარელ საქმეს, ოჯახს, ერთადერთ შვილს.

ფილმის პრემიერას ხელოვანი თავად ვერ მოესწრო, მისი ჩვენება რამაზ გიორგობიანის გარეშე, მისი გარდაცვალების შემდეგ შედგა. ფილმისთვის სცენარი თავად დაწერა, თავისი ცხოვრებისეული ტკივილი გადმოსცა და საკუთარი ისტორიებიც მრავლად ჩააქსოვა. რეჟისორობასთან ერთად მსახიობობაც შეითავსა და „მორევში“ ითამაშა კიდეც.

რამაზ გიორგობიანს ბევრი გეგმა ჰქონდა, მაგრამ მათი განხორციელება არ დასცალდა, მხოლოდ 4 ფილმის გადაღება მოასწრო.

# სამგლოვიარო განცხადებები

## გია მუმლაძის გახსენება



გია, სრულიად მოულოდნელად დაგვტოვე და მარადისობაში დაიდე ბინა. შენთან განშორებამ ყველანი დაგვამწუხრა; შენ იყავი კაცი სიყვარულითა და სიკეთით აღსავსე. გიყვარდა მოყვასი. მეგობრების ფართო წრე გყავდა. ამის დამადასტურებელია ის, რომ 250-მა კაცმა დაგიტირა.

იძინე ტკბილად. არასდროს დაგივიწყებთ.

**ზაური**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**


**წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი**
**50 ლარი 90–ის ნაცვლად**



- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**50 ლარად 95 ლარის ნაცვლად**




ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**



1.ხმის გაძლიერება 50დб.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც. ელემენტები LR41 – ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79.
579 885 996

# ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**


## პროგრამა

**ხუთშაბათი 21 აპრილი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 23.00** ტ/სერ "**ამერიკული ოდისეა**" **12.30** "ტრანსმისია" **13.00** ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "წიგნების თარო" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ენტონი ბურდენი – წინასწარი შეკვეთის გარეშე" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.40** "ინტერვიეწ" – სალომე ასათიანთან ერთად **21.10** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფგიარი" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**რადგან ბეისბოლი მიყვარს**" (კ.კოსტნერი) **03.30** "პირადი ექიმი"

**08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **11.00** დ/ფ "შტაინერების ოჯახი" **13.00** დ/ფ "ვისკის საიდუმლო" **14.00** დ/ფ "მცენარეთა საიდუმლოებები" **16.30** დ/ფ "ფლორენცია – ტოსკანა" **17.30** "თავისუფალი ტრიბუნა" **18.30** **ძიუდო**: ევროპის ჩემპიონატი **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.20** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** მხ/ფ "**გაქცეული პატარძალი**" **02.35** მხ/ფ "**შავი გველი**" **04.45** მხ/ფ "**სიყვარულისა და დანების ისტორია**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ ,მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **22.00** პროფილი **00.00** P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.30** ან/სერ. "**ავატარი - ჰაერის უკანასკნელი მბრძანებელი**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** მხ/ფ "**საიდუმლო მასალები - მინდა, მჯეროდეს**" **0.25 ID Extra** - მოჩვენებებით შეპყრობილი **1.25** URBAN STORIES **1.55** ჯიდიპედია **2.50** შუადღე (გამეორება)

**06.15** პატერიკი **06.25** სჯანი **06.40** ქართული ალბომი **07.05** წმინდანები "ღირსი მამა ილარიონ ქართველი" **07.40** დიდ ხარ შენ უფალო-"დაბადება III, IV, V და VI" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**კარიერი**" **13.15** წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "თეთრყვავილა" **15.05** ივერიის ეკლესია **15.20** ქართ. ან/ფ **15.40** ველური ბუნება "ნამიბია" **15.50** დ/ფ "კეთილმოწყალე უფალი" **16.40** ჩვენი ფონდი **17.10** დ/ფ "სტუმრად მღვდელმთავართან" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.20** დ/ფ **20.40** ძილი ნებისა "იოსები ძმებს პატიობს" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ლექციები მეფუტკრეობაზე **21.40** ფსალმუნის განმარტება **21.45** განთიადის სიუჟეტი **22.00** სიახლენი **22.25** ჩვენი საგანძური **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **00.25** ისტორიის დღიური **01.25** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.00** "კონტაქტი" **10.05, 11.05** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05, 1.00** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** დოკ/სერ. "მსოფლიო საუკეთესო სახლები" **16.05, 17.05** სერ. "**კარმელიტა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ორსულობის ტესტი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ეკატერინა**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**მიშკა იაპონჩიკი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**21 აპრილისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.2423

ევრო — 2.5408

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2195

100 რუსული რუბლი — 3.4191

## ამინდის პროგნოზი 21 აპრილისთვის







# 19 აპრილიდან

## ერიხ მარია რემარკი

## სამი მეგობარი

გაზეთისა და წიგნის ფასი 12 ლარი










## გაზეთი „ახალი თაობა“ წარმოგიდგენთ

## წიგნებს მაცხოვრის შესახებ ბავშვებისთვის

### შედგენილს არქიმანდრიტ ნესტორ ყუბანეიშვილის მიხედვით

25 მარტიდან — იესო ქრისტეს შობა

1 აპრილიდან — იესო ქრისტეს ნათლისღება

8 აპრილიდან — იესო ქრისტეს პირველი მოწაფეები

15 აპრილიდან — იესო ქრისტეს სასწაულები

22 აპრილიდან — საიდუმლო სერობა

29 აპრილიდან — იესო ქრისტეს აღდგომა

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი










# 21 აპრილიდან

## ქარი ტირიფებში

კენეთ გრემი

გვერდების რაოდენობა – 224
ფერადი ილუსტრირებული გამოცემა
ყდა – მაგარი




**გაზეთისა და წიგნის ფასი 12 ლარი**

# 25 აპრილიდან

## მგლის ბილიკი

გაზეთისა და წიგნის ფასი 5 ლარი






## კალეიდოსკოპი

### ჯონი დეპის მეუღლე ათწლიან პატიმრობას გადაურჩა



ავსტრალიის სასამართლომ ამერიკელი მსახიობის ჯონი დეპის მეუღლეს ემბერ ჰერდს ქვეყნის ტერიტორიაზე უნებართვოდ ძაღლების შეყვანის ორი ბრალდება მოუხსნა. მას ათწლიანი პატიმრობა ემუქრებოდა. მსახიობმა აღიარა, რომ ცრუ ინფორმაციის შემცველი საბუთები წარადგინა და ახლა მას შესაძლოა ერთ წლამდე პატიმრობა და 7650 დოლარის ჯარიმა დაეკისროს.

2015 წლის მაისში ავსტრალიის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ბარნაბი ჯოისმა განაცხადა, რომ ვარსკვლავური წყვილის კუთვნილ ორ იორკშირის ჯიშის ტერიერს დააძინებდნენ, რომლებიც ქვეყანაში ვეტერინარული კონტროლის გვერდის ავლით იქნენ შეყვანილნი. მან განაცხადა, რომ მსახიობებს 48 საათს აძლევდა იმისთვის, რომ მათ ძაღლები ქვეყნის ტერიტორიიდან გაეყვანათ.

ემბერ ჰერდმა თავისი პირადი თვითმფრინავით ავსტრალიაში ჩაიყვანა თავისი ორი იორკშირის ტერიერი, სადაც ფილმ „კარიბის ზღვის მეკობრეების“ გადაღება მიმდინარეობდა, რომელშიც მისი მეუღლე მონაწილეობდა. ამ დროს მან არ გაითვალისწინა, რომ მწვანე კონტინენტის უნიკალური ფაუნის გამო ავსტრალიაში მკაცრი კანონები მოქმედებს ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოველების შეყვანასთან დაკავშირებით.

### ვიქტორია ბექჰემი კოსმეტიკურ ხაზს ქმნის



ბრიტანელი დიზაინერი ვიქტორია ბექჰემი კომპანია ესტე ლაუდერისთვის კოსმეტიკურ ხაზს შექმნის. მაკიაჟისთვის განკუთვნილი საშუალებების კოლექცია შემოდგომით შეზღუდული ტირაჟით გამოვა.

ვიქტორიას თქმით. ის აღფრთოვანებულია ერთობლივი კოსმეტიკური ხაზის ამოქმედებით. დიზაინერმა განაცხადა, რომ კომპანიის არქივი შეისწავლა, ხოლო კოსმეტიკაზე მუშაობაში მას კომპანიის გუნდი ეხმარებოდა.

გარდა ამისა, ბექჰემის თქმით, ის დიდი ხანია აღფრთოვანებულია ესტე ლაუდერით – ქალით, რომელმაც „მძლავრი ბრენდი“ შექმნა.

ესტე ლაუდერის თქმით კი ვიქტორიას კარგად ესმის, თუ რა სურთ ქალებს და ახარებს, რომ ის მათ ბრენდთან თანამშრომლობს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



## იუმორი

ტელეფონი რეკავს:

– ალო, ბილიკი მინდა შეგიკვეთოთ, საღამოსთვის!

– კი ბატონო, რამდენი მეტრი გინდათ და სად უნდა მიდიოდეს?

– რა? ალო, ეს ბოულინგ ცენტრია?

•••

მეგობრები ტელევიზორს უყურებენ. ერთი მეორეს ეკითხება:

– რატომ არის ეს მინისტრი ასე იდიოტად გამოყვანილი, ამით რისი თქმა უნდოდა რეჟისორს?

– კაცო, ეს ფილმი კი არა, ახალი გადაცემაა, პირდაპირ ეთერში...

•••

იცით თუ არა, რომ თუ ჭამის წინ ფეხებს დაიბანთ, ხელებიც თავისთავად დაგებანებათ?

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– როგორი რძალი შეგხვდა?

– აბა როგორ გითხრა... კვერცხებს კონსერვის გასახსნელით ხსნის...

•••

სკოლიდან დაბრუნებული ბავშვი დედას ახარებს:

– დედიკო, დღეს მასწავლებელმა ხუთამდე დათვლა მასწავლა.

– მართლა? აბა დათვალე!

– ერთი, ორი, სამი, რით ვერ დაიმახსოვრე დებილო (ხელს თავში ირტყამს), ოთხი, ხუთი...

***

მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება:

– ხვალ სკოლაში მშობლების გარეშე არ მოხვიდე!

– ზეგ?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

### ბარსელონა ვერატის ყიდვას აპირებს



ბარსელონა სერიოზულად არის დაინტერესებული პსჟ-ს იტალიელი ნახევარმცველის მარკო ვერატის შეძენით.

ვერატის ამჟამად ტრავმა აქვს და მისი არყოფნა პსჟ-ს თამაშს ძალიან დაეტყო, რადგან ვერატი პარიზული გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა.

მისი სატრანსფერო ფასი 60 მილიონი ევროა და ბარსელონა მზად არის, პსჟ-ს ეს თანხა გადაუხადოს.

გარდა ამისა, ბარსელონა ვერატის საკმაოდ კარგ პირობებს სთავაზობს, რომლის მიხედვითაც, მისი ხელფასი წელიწადში 6 მილიონი ევრო იქნება.

ბარსელონას ვერატის ყიდვა ადრეც უნდოდა, მაგრამ მაშინ ეს ტრანსფერი სხვადასხვა მიზეზების გამო ჩაიშალა. ამჯერად კატალონიელები უფრო სერიოზულად არიან განწყობილნი და, სავარაუდოდ, საწადელს მაინც მიაღწევენ.

### იუვენტუსი პოლ პოგბას 100 მილიონადაც არ შეელევა



ბოლო პერიოდში ხშირად ისმის საუბრები იმის შესახებ, რომ იუვენტუსის ერთ-ერთი მთავარი ვარსკვლავი პოლ პოგბა ზაფხულში ტურინულ კლუბს დატოვებს და სათამაშოდ რომელიმე სხვა გრანდში გადავა, მაგალითად, ბარსელონაში.

რამდენიმე დღის წინ იუვენტუსის ვიცე პრეზიდენტმა ეს ჭორები უარყო და თქვა, რომ პოგბა არ იყიდება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მასში ვინმე 100 მილიონ ევროს გადაიხდის. მიუხედავად ასეთი განცხადებისა, ტურინელებს პოგბას შენარჩუნება მაინც გაუჭირდებათ, რადგან თვითონ ფეხბურთელი არ არის წინააღმდეგი, ძალები სხვა გუნდში მოსინჯოს.

პოგბამ რამდენიმე თვის წინ ისიც განაცხადა, რომ ბარსელონაში თამაში მისი ბავშვობის ოცნებაა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მდინარე ნიუ იორკში; 2. ჩინური ნავთობკომპანია; 3. თანამედროვე ქართველი თეატრალური რეჟისორი; 4. თხრობითი ხასიათის პოეტური ქმნილება; 5. წრეხაზის ცენტრზე გამავალი ორი წერტილის შემაერთებელი სწორი ხაზის მონაკვეთი; 8. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 12. კატარის დედაქალაქი; 13. რაიონული ცენტრი კახეთში; 14. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 16. სხვადასხვა ფერის ძაფის ქსოვილი; 18. ქართული მოკლე, უვადო ხმალი; 20. ინდოელ ქალთა ტანსაცმელი.

**თარაზულად:** 6. მოკარნახე თეატრში; 7. სპეციალური წესით შედგენილი, სამუზეუმო ექსპონატების ჩამონათვალი; 8. ხის ჩასაბერი მოკლე ინსტრუმენტი; 9. ავსტრალიური ჩანთოსანი დათვი; 10. მეცნიერული ნაშრომის მოკლე წერილობითი გამოცემა; 11. ყოველდღიური გაზეთი ინგლისში; 15. შტატი აშშ-ში; 17. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი; 19. სოხუმის ძველბერძნული სახელწოდება; 21. პატარა თევზსაჭერი გემი; 22. რაიონული ცენტრი გურიაში; 23. სიგელი, მოწმობა დამსახურებისათვის, წარმატებისთვის.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა





ლურჯი წითელი ყვითელი შავი